პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 174 (12382) | ხუთშაბათი, 26 ივლისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს მრეწველობამ წლის პირველი ნახევრის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა

სამრეწველო წარმოების მოცულობა 1961 წლის პირველ ნახევართან შედარებით 9 პროცენტით გაიზარდა

○ ○ ○

შრომის ნაყოფიერების ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, 1961 წლის პირველ ნახევართან შედარებით **ზრდამ შეადგინა 7 პროცენტი**

○ ○ ○

მრეწველობის მუშაკებო!

არ შევანელოთ შრომის ტემპი, გაგრძელდეს ნაგიჯით ვიაროთ წინ—ოვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის!



ოვიდწლედი — შრომის ეპოპეა

ჩვენი დიადი ქვეყანა გაბედული ნაბიჯით მიიწევს წინ და ზედიზედ იღებს შვიდწლედის ახალ მიჯნებს. წლითიწლობით წარმატებით ხორციელდება დიადი გეგმის დავალებანი, სულ უფრო აშკარა ხდება საბჭოთა ხალხის სიდიადე კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. ამის ახალი დამაჯერებელი დადასტურებაა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ.

სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ სოციალისტური ეკონომიკის, უწინარეს ყოვლისა მისი მთავარი ძალის — მრეწველობის მძლავრი აღმავლობით, რომლის პროდუქციის მოცულობა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით თითქმის 10 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება ექვსი პროცენტით ამაღლდა. შესრულებულია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმაც.

სოციალისტური მრეწველობის ასეთი სწრაფი ზრდა უზრუნველყოფილია საბჭოთა ადამიანების გონივრული ღონისძიებებით ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის განვითარება და დანერგვა, კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია — აი სოციალისტური წარმოების სწრაფი ტემპის განუყოფელი პირობა. სულ უფრო მეტი სრულყოფილი მანქანა უწევს დახმარებას ადამიანებს. მარტო წლის პირველ ნახევარში ათვისებულ იქნა 800-მდე ახალი უმნიშვნელოვანესი სახეობის მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა, რომელიც აადვილებენ და ცვლიან ადამიანის შრომას.

კომუნისტური პარტია, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობის წარმატებით განვითარებას და ეყრდნობა ძის მზარდ ძლიერებას, მტკიცედ იბრძვის სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, წარმატებით ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესმა ფართობებმა შეადგინა 215,7 მილიონი ჰექტარი, ანუ გასულ წელთან შედარებით გადიდდა 11 მილიონ ჰექტარზე მეტით. გადიდდა ყველა სახეობის პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ერთი წლის განმავლობაში 9 პროცენტით გადიდდა. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპი, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა, მოლიანად ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩამორჩება მრეწველობის ზრდის ტემპს და არ შეესაბამება იმ დონეს, რომელიც საჭიროა მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

სასიხარულოა, რომ განუხრელად ვითარდება ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის მრეწველობა. სამრეწველო წარმოების ზრდის სწრაფი ტემპი მიღწეულია თითქმის ყველა რესპუბლიკაში.

დიდ საბჭოთა ოჯახში წარმატებით მიიწევს წინ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა. საქართველოს სსრ მრეწველობამ 1962 წლის პირველი ნახევრის წარმოების 9 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება 7 პროცენტით გადააჭარბა. ეს სამუშაო 99,9 პროცენტით არის შესრულებული. დამუშავებულია 11.562 ჰექტარი. დაწინაურდნენ გორის, დუშეთის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს, თელავის საწარმოო სამმართველოები. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ბუნებრივი ბალახები 20 ივლისისათვის გათიბულია 38.730 ჰექტარზე, ხოლო ნათესი ბალახები — 21.480 ჰექტარზე. დაგროვებულია 119.982 ტონა უხეში საკვები. საკვების დამზადებაში წინ მიდიან გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ბოლნისი ს, თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოები და საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალური ტრესტი.

თავთავიანი და პარკოსანი კულტურების მოსავლის აღების ტემპი დღითიდღე მატულობს. მოსავალი 20 ივლისისათვის აღებულია 154.662 ჰექტარზე, ანუ 66.434 ჰექტარით მეტ ფართობზე, კიდრე შარშან ამავე პერიოდში.

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დაამთავრეს სინ.ნაღის, გურჯაანისა და თელავის საწარმოო სამმართველოებმა. ამ საქმეში წინ მიდიან ბოლნისის, თეთრი წყაროს, დუშეთის, გორის საწარმოო სამმართველოები და საბარეუნო საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი.

თამბაქოს შეტეხის ტემპი დღითიდღე ძლიერდება. 20 ივლისისათვის შეტეხილია 10.352 ათასი ზონარმტერი თამბაქო. წინ მიდიან სიღნაღისა და ბოლნისის საწარმოო სამმართველოები.

ბაბუში რაიონის სოფ. ეწერის ორკონიკძის სახელობის კოლმეურნეობას ასახავენ სოციალისტური წარმოების განვითარების შესანიშნავ თავისებურებას: მის დაქვემდებარებს ხალხის საარსებო ინტერესებისადმი. ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის! კომუნისტური პარტიის ეს დევიზი წარმატებით ხორციელდება.

ყველა პარტიული და სამეურნეო ორგანოს ამოცანაა წლის პირველი ნახევრის შედეგების ღრმა ანალიზის საფუძველზე დასახონ იმ ნაკლოვანებათა დროულად აღმოფხვრის კონკრეტული გზები, რომლებიც აფერხებენ ჩვენს წინსვლას, უზრუნველყონ პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მრეწველობისა და მშენებლობის ყველა დარგში მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის გზით.

ავამოქმედოთ მთელი ჩვენი რეზერვები, უფრო სრულად გამოვიყენოთ რესპუბლიკის უდიდესი შესაძლებლობანი — ასეთი ფიქრით, ასეთი მხურვალე მისწრაფებით შრომობს საქართველოს თვითეული მშრომელი, რათა თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

გუშინ პლანტაციებზე

ზუგდიდი. ივლისში განსაკუთრებით კარგად მუშაობს ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ნაზი ანთია, რომელსაც დღემდე მოკრეფილი აქვს 4 ათას კილოგრამზე მეტი „მწვანე ოქრო". გუშინ ნაზი ანთიამ მოკრიფა 85 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამავე მეურნეობის მეჩაიეებმა ციალა ჯაფანძემ, მარო ჩარგაზიამ, შუშანა კეპიანმა, თინა მოსიამ ერთ დღეს 60-75 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და ამით 2 დღის ნორმას გადააჭარბეს.

მახარაძე. პირველობას არავის უთმობს სოფელ დვაბზუს კოლმეურნეობის წევრი, უხუცესი მეჩაიე ელპიდე გოლიაძე. მან ჯერ კიდევ 11 ივნისისათვის შეასრულა ჩაის კრეფის წლიური დავალება — მოკრიფა 3.510 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ახლა ელპიდე ომისათვის იბრძვის, რომ მოკრიფოს სულ ცოტა 9.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო".

აბაშა. სოფელ სამიქოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ ზაირა კვანტალიანმა მოკრიფა 70 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. წლიური გეგმა უკვე შეასრულა და ვალდებულების ანგარიშში კრეფს ჩაის ფოთოლს. სუფიეთელმა ნაზი ლაბარტყავამ მოკრიფა 45 კილოგრამი, ნორიოელმა ნინო სოხაძემ, ძველაბაშელმა ბატიანა ბერტაიამ — 47.50 კგ.

სასიხარულო ცნობები სოფლიდან

რესპუბლიკის სოფლებიდან სასიხარულო ცნობები მოდის. 20 ივლისისათვის სიმინდის მეორე დამუშავების წლიური გეგმა შესრულებულია 69,9 პროცენტით. დამუშავებულია 193.822 ჰექტარი სიმინდის ნათესები. შარშან ამავე პერიოდში მეორეჯერ დამუშავებული იყო 182.506 ჰექტარი ნათესი.

წინ მიდიან: ქობულეთის, ახალციხის, თელავის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, გორის, მახარაძის, წყალტუბოს, ცხაკაიას, ბოლნისის, სიღნაღის საწარმოო სამმართველოები.

ჭაკრის ბარხლის ნათესების მეორედ დამუშავება დასასრულს უახლოვდება. ეს სამუშაო 99,9 პროცენტით არის შესრულებული. დამუშავებულია 11.562 ჰექტარი. დაწინაურდნენ გორის, დუშეთის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს, თელავის საწარმოო სამმართველოები. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ბუნებრივი ბალახები 20 ივლისისათვის გათიბულია 38.730 ჰექტარზე, ხოლო ნათესი ბალახები — 21.480 ჰექტარზე. დაგროვებულია 119.982 ტონა

ქართული ღვინოების კოლექცია

ზესტაფონი, (საკ. კორ.). საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებალღობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საკარის საცდელ სადგურში შემონახულია ქართული ღვინოების მდიდარი კოლექცია.

კოლექციაში ინახება ორასამდე სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ღვინო, რომელთაგან უძველესია 1904 წლის დაყენებული. აქ შემონახულია ციცქის, ცოლიკაურის, ქვიმხურის, საფერავის, ჩხავერის, ოჯალეშის, ხვანჭკარის და სხვათა საუკეთესო ნიმუშები.

აქაური ღვინოები წარმოდგენილი იქნება მევენახეთა მსოფლიო კონგრესისადმი მიძღვნილ გამოფენაზე.

გულთბილი მისალმება კუბელ მეგობრებს

მოსკოვი, 25 ივლისი. (საკ.ფსი). კუბის რევოლუციური დღესასწაული. — ეროვნული აჯანყების წლისთავის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ფიდელ კასტრო რუსს და პრეზიდენტს ოსვალდო დორტიკოს ტორადოს.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „საბჭოთა ხალხი, საბჭოთა მთავრობა უწევდნენ, უწევენ და კმლაოდ გაუწევენ ყოველმხრივ ძმურ დახმარებას თავის კუბელ ძმებს".

ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი გამოთქვამენ რწმენას, რომ რევოლუციური კუბის სამართლიანი საქმე, რომელიც დედამიწის ყველა პროგრესული ადამიანის და მშვიდობისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის ხალხების გაგებასა და მხარდაჭერას პოულობს, გაიმარჯვებს, რა ხრიკებსაც უნდა მიმართონ იმპერიალისტებმა წრეებმა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა კუბის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს რაულ როა გარსიას.

ა. ი. მიკოიანი ჯაშკენტში

ტაშკენტი, 25 ივლისი. (საკფსი). დღეს ტაშკენტში ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, რომელიც ბრუნდება ინდონეზიიდან, სადაც იგი პრეზიდენტ სუკარნოს მიწვევით კეთილი ნების მისიით იმყოფებოდა. ა. ი. მიკოიანთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი და სხვა თანმხლები პირები.

ტაშკენტის აეროდრომზე ა. ი. მიკოიანს შეხვდნენ უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. ყურბანოვი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. მ. მუსაბაევი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ა. ახიმოვი.

ხანმოკლე დასვენების შემდეგ ა. ი. მიკოიანი და თანმხლები პირები ტაშკენტიდან მოსკოვს გაემგზავრნენ.

მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები

პირველად ლატვიის დედაქალაქში

მოსკოვში გასტროლების დამთავრების შემდეგ თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი 24 ივლისს ეწვია ლატვიის მშვენიერ დედაქალაქს — რიგას. ქართული თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლებს რიგელმა მშრომელებმა, ქალაქის პატრიოტი, პროფკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა გულთბილი შეხვედრა გაუმართეს.

ქართველ სტუმრებს მიესალმა ლატვიის სსრ კულტურის მინისტრი ვ. კაუპუ�ი, რომელმაც თქვა:

— დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი რიგა ეგებება ძვირფას სტუმრებს. რიგელი მაყურებლები მოუთმენლად მოელიან შეხვედრას თეატრის კოლექტივთან, მოძმე ხალხის ხელოვნების წარმომადგენლებთან. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ჩვენთან პირველად არის, სამაგიეროდ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ თბილისსა და რიგის მშრომელებს. დიდ წარმატებებს გისურვებთ, ჩვენო კეთილო მეგობრებო.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა პარტიის რიგის სკკპ-ს ოკრუგის კომიტეტის მდივანმა ლ. ჰიმელრეიხმა.

— ჩვენ, თბილისელები და რიგელები, — თქვა მან, — მჭიდრო მეგობრობითა და თანამშრომლობით ვართ დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ზამთარში გვესტუმრა თბილისის მშრომელთა დელეგაცია, რომ შეგვეჯამებინა ამ ორ ქალაქს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის შედეგები. ჩვენი რესპუბლიკების სამრეწველო საწარმოები უკვე რამდენიმე წელია ერთმანეთს ეჯიბრებიან. ეს შეჯიბრება არის საბჭოთა რესპუბლიკების მეგობრული ოჯახის ძმური თანამშრომლობის ნათელი მაგალითი. კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა, ძვირფასო მეგობრებო.

თეატრის კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოთქვა და გულთბილი შეხვედრისათვის რიგელებს მადლობა გადაუხადა სსრკ სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ.

ლატვიის პრესა თავის ფურცლებზე მიეგებოდა ქართულ თეატრს, აღტაცებს მის მომავალ გასტროლებს. რესპუბლიკური გაზეთის „სოვეტსკაია ლატვიას" ფურცლებზე დაბეჭდილია ვ. ანჯაფარიძის წერილი ქართული თეატრალური ხელოვნების და კერძოდ მარჯანიშვილის თეატრის შესახებ, რიგის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. პაკალნის სტატია, რომელშიც ავტორი მკითხველს მოუთხრობს ორი მომძე ხალხის მეგობრობაზე და კულტურულ ურთიერთობაზე.

გუშინ, რიგის დრამის აკადემიური თეატრის შენობაში მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივმა გასტროლები დაიწყო ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის კომედიით „შე, ბებია, ილიკო და ილარიონი". სპექტაკლმი მონაწილეობდნენ ს. თაყაიშვილი, ალ. ყორყოლიანი, ლ. ანთაძე, გ. კოსტავა, ტ. საყვარელიძე, ა. სიხარულიძე და სხვ. ქართველ ხელოვანთა ნამუშევარს ინტერესით და მოწონებით შეხვდნენ რიგელები.

ჩვენი სტუმრები

სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები თბილისში

დიდი გულობილობით შეხვდა საქართველოს საზოგადოებრიობა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციას, დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა 24 ივლისს ერევნიდან. ძის შემდეგ ლობაში აიიან სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალური ძდივანი და რადიკალ-სოციალისტების პარტიის გენერალური მდივანი, აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის წევრი ნგუენ ვან ხიეუ, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი და სამხრეთ ვიეტნამის ქალთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი მა ტი ტიუ, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის წევრი, აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის წევრი ლე ტან ნამი, დელეგაციის მდივანი ჩან ვან ხუე. დელეგაცია სსრ კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის მოწვევით. იგი მონაწილეობდა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესში.

სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები დიდი ინტერესით ეცნობიან ქართველი ხალხის ცხოვრებას.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

სკოლა — სახალხო ფრუნვა!

24 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაიწყო რუსეთის სფსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ. იგი განიხილავს საკითხებს, თუ როგორ სრულდება კანონი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ"; რუსეთის სფსრ ადგოკატურის შესახებ დებულების პროექტს; რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ კანონის პროექტს.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ განათლების მინისტრმა ე. ი. აფანასენკომ.

მოხსენება, თუ როგორ სრულდება კანონი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და რუსეთის სფს რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ" გააკეთა სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. ტ. გნედოვმა.

მოსკოვი, 25 ივლისი. (საკფსი). 24 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეექვსე სესია.

დღეს დილის 10 საათზე გაიხსნა დილს სხდომა. მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები **გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ფ. რ. კოზლოვი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. ნ. შელეპინი,** რომლებსაც დეპუტატები და სტუმრები, ფეხზე ამდგარნი, მტაცებარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

დეპუტატები განაგრძობენ დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვას: „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და რუსეთის სფს რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და რუსეთის სფს რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის ფუნქციონირების შესახებ".

მოსკოვი, 25 ივლისი. (საკფსი). დღეს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაამთავრა რუსეთის სფსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ.

საღამოს სხდომაზე მიიღეს დადგენილება „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და რუსეთის სფს რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ" გაკეთა სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. ტ. გნედოვმა.

მოსკოვი, 25 ივლისი. (საკფსი). 24 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეექვსე სესია.

დღეს დილის 10 საათზე გაიხსნა დილს სხდომა. მთავრობის ლოჟებში შემოდიან ამხანაგები **გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ფ. რ. კოზლოვი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ.**



გაიხსნა სტუდენტთა III საკავშირო თამაშები

ქალის, სიჭაბუკის გეიმი

ახალგაზრდული შემართება და ზეიმი, სიჭაბუკისა და ძლიერების დემონსტრაცია — აი რა შეგვიძლია ვუწოდოთ სტუდენტთა მესამე საკავშირო თამაშებს, რომელიც სულ უფრო მძლავრად ჩქეფს ჩვენს დედაქალაქში.

საბჭოთა ქვეყნის რომელი კუთხის წარმომადგენელს არ ნახავთ აქ. ესენი არიან მომავალი სპეციალისტები, კომუნიზმის მშენებელი ქალიშვილები და ვაჟები, რომლებმაც სწავლასთან ერთად თავი ისახელეს სპორტში.

სტუდენტთა მესამე თამაშებმა თბილისში დიდი ხანია სტარტი აიღო, მაგრამ მისი ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გუშინდლამდე არ შემდგარა. სტუმართმოყვარე თბილისი გულთბილად შეხვდა მოზეიმე სტუდენტებს, ჩვენი დედაქალაქის ათასობით მშრომელი მონაწილეობდა ამ ზეიმში.

ლამაზი და მიმზიდველი იყო გუშინ „ბურევესტნიკის" სტადიონი. პლაკატები, ლოზუნგები, ნაირფერი სპორტული აღმები ამშვენებდა მის ტრიბუნებს, მიდამოებს. ირგვლივ მხიარულება სუფევდა.

18 საათია. ფანფარები გვაუწყებენ პარადის დაწყებას. სტადიონზე შემოდიან სტუდენტ სპორტსმენთა კოლონები. მედროშეთა კოლონის შემდეგ პარადს მიუძღვება მოსკოვის სპორტსმენთა კოლექტივი. მას მიჰყვებიან ლენინგრადის, რსფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიისა და სხვა რესპუბლიკათა წარმომადგენლები. კოლონათა ჩამკეტი საქართველოს დელეგაცია იყო. სტუდენტ სპორტსმენთა რიგებში ვხედავდით სპორტის სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლებს — მძლეოსნებს, კალათბურთელებს, ფეხბურთელებს, ტანმოვარჯიშეებს და სხვ. სულ პარადში სამი ათასზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

კომანდორის, სპორტის ოსტატ თ. სანებოიძის პატაკის შემდეგ სტუდენტთა მესამე საკავშირო თამაშების მონაწილეებს სიტყვით მიმართა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. პროკოფიევმა. მან აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს საბჭოთა ახალგაზრდობის, სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის საქმეში და წარმატება უსურვა შეჯიბრების მონაწილეებს.

პარადის მონაწილეებს მიესალმნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ვ. ვაშაკიძე. საქართველოს სტუდენტ ახალგაზრდობის სახელით თ. სიხარულიძე.

მოწინავე სტუდენტ სპორტსმენებს ცენტრალური ტრიბუნის წინ გავლით მოაქვთ სტუდენტთა საკავშირო თამაშების ალამი და აღმართეს იგი. ჟღერს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, სტუდენტთა მესამე საკავშირო თამაშები გახსნილად ცხადდება. მოედანზე გამორბიან თბილისის პიონერები. ისინი თაიგულებს უძღვნიან სპორტსმენებს. რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა — ს. საყვარელიძემ და ა. ლომიძემ სტადიონის კოშკზე აანთეს ოლიმპიური კოცონი.

კოლონები ტოგებენ მოედანს, მათ მიაცილებდა მრავალათასიან მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში.

მოედანზე შემოდიან თბილისისა და ლენინგრადის „დინამოს" დუბლიორთა გუნდები. მათი მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

* * *

სურათებზე: სტუდენტთა მესამე საკავშირო თამაშების მონაწილეთა საზეიმო მსვლელობა „ბურევესტნიკის" სტადიონზე; თამაშების ალმის აღმართვა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.





პარტიული ცხოვრება

ცხარე დღეები და მშვიდი აგიტაპორები

ზაფხულის მეცხენეარე დღეებში თავდადებული შრომაა გაჩაღებული მეხეთის ბაღლინან მიწაზე. კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა ყველა მინდორში გასულა, ზოგი მკის და ზოგი ლეწავს, ზოგიც ხორბალს ასუფთავებს და ბეღელში აბინავებს. სხვები თივას იღებენ. სილოსს ამზადებენ და მეცხოველეობისათვის საკვებს იმარაგებენ სახამთოროდ. იციან მეხეთის მშრომელებმა, რომ მოსავლის აღება საშური საქმეა, ადრე აიღე — მოიგებ, დაგვიანებ — წაგებ...

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დიდი ხვეულითი წონა აქვს ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს, რომლის ზონაშიც შედის ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჯომის რაიონები. სამმართველოში შემავალმა ყველა 152 კოლმეურნეობამ და 11 საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრეს შეიდწლეულის მეოთხე წელს საგრძნობლად გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოს მიჰყიდონ 6.890 ტონა ხორცი, 25.150 ტონა რძე, 3.350.000 ცალი კვერცხი, 1.200 ტონა მარცვლეული, 2.500 ტონა ხილი, 3.800 ტონა ბოსტნეული, 9.200 ტონა კარტოფილი, 630 ტონა მატყლი და ბევრი სხვა პროდუქტი.

ამ ვალდებულების განაღდებისათვის მშრომელთა მობილიზაციას და დარაზმვას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ სამმართველოს ხელმძღვანელობამ (უფროსი ი. ხარისჩარაშვილი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგი შ. გრძელიშვილი) მთავრობის დადგენილების საფუძველზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განაზორციელა მატერიალური დაინტერესების ახალი ღონისძიებანი.

ახალციხის საწარმოო სამმართველოს გრცელ ტერიტორიაზე პური და ერი ერთდროულად ოდი მწიდდება. რესპუბლიკის სხვა რაიონებთან შედარებით იგი აქ გვიან და თანდათანობით შემოდის. ამ დღეებში პურეულის აღება დაიწყო ახალციხის რაიონში, ახალქალაქში კი ყანები ჯერ კიდევ მწვანე და უმეტესია. ახალციხის რაიონის კოლმეურნეობებში მთავრდება თივის აღება, ახალქალაქში კი ახლა ჩაღდება მასობრივად თივის აღებისა და სილოსის ჩადების სამუშაოები. 20 იანვარისათვის ახალციხის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და სახელმწიფოს ბაზაზე 3.932 ჰექტარი თივა და ბუნებრივი ბალახები, 3.922 ჰექტარი ნათესი ბალახები, დამზადებული იყო 24.638 ცენტნერი საკვები და ჩადებული იყო 137.151 ცენტნერი სილოსი. ამავე პერიოდისათვის მომკული და მოთიბული იყო 1.231 ჰექტარი გაზაფხულის მარცვლოვანი და ბარკოსანი კულტურები და გალეწილი იყო 262 ჰექტარზე აღებული მოსავალი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის გაჩაღებულ შემოქმედებითს შრომას სათავეში უდგანან კომუნისტები, საწარმოო სამმართველოს ზონაში შემავალი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც მშრომელთა შორის ეწევიან მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, რაზმავენ და წარმართავენ მათ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში და ხარისხოვნად შესრულებისათვის. მოსავლის აღების დღეებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობისათვის ახალციხის საწარმოო სამმართველოს ზონაში დამატებით გამოიყო 558 აგიტატორი, მუშაობს 46 მუდმივმოქმედი და 8 საველე აგიტპუნქტი. სულ მოსახლეობაში საუბრებს მართავს 2.532 აგიტატორი, 275 ლექტორი და მომხსენებელი. შექმნილია და მშრომელთა წინაშე მიწდგრად 14 აგიტმხატვრული ბრიგადა.

„კომუნისტის“ რეიდი

რეიდმა გვიჩვენა, რომ იქ, სადაც პარტიულმა ორგანიზაციებმა უნარიანად მოაწყეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და დარაზმეს მასები მოსავლის სწრაფად და უფუანაკარგოდ აღებისათვის, საქმეც კარგად მიდის. მაგალითად, მოხისის მეხორცეობა-მერძეულობის საბჭოთა მეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს თივის აღება და სილოსის ჩადება. აქ ყველა მანქანა და ინვენტარი შეკეთებულია და წესიერებაზეა მოყვანილი, ყველა განაყოფიერება და ბრიგადა მზად არის მოსავლის ასაღებად, რაც ამ დღეებში დაიწყება. მეურნეობის პარტორგანიზაციამ ამას წინათ იმსჯელა მოსავლის აღებისათვის მზადების საკითხებზე და განახორციელა საჭირო ღონისძიებანი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად. დამატებით გამოიყო აგიტატორები, შეიქმნა საველე აგიტპუნქტი, უშვებენ კედლის გაზეთს და საველე ფურცლებს, აწყობენ აგიტმხატვრული ბრიგადების გამოსვლებს მინდვრად მშრომელთა წინაშე. აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები გ. ლომჯანიძე, ა. ოკუშვილი, ა. მეტრეველი სისტემატურად მართავენ აგიტსემინარებს, ეხმარებიან აგიტატორებს საუბრების მაღალ იდეურ დონეზე მოწყობაში.

სოფელ სხვილისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში ჩვენ ვნახეთ აგიტატორი პ. აკოპიანი. მისი აზრით, მარტო საუბარი კი არა, აგიტატორის მთელი ყოველდღიური მუშაობა უნდა იყოს აგიტაცია, ნიმუშის მაჩვენებელი და მისაბაძი. აგიტატორი პ. აკოპიანი კოლმეურნეებს მოუწოდებს მტკიცედ დაიცვან შრომის დისციპლინა, აქტიურად მონაწილეობდნენ საკოლმეურნეო შრომაში და ამის მაგალითს თვითონ უჩვენებს. მოსავლის აღების პირველსავე დღეს ამ ბრიგადაში გამოუშვეს საველე ფურცელი, რომელშიც შეტანილია კომბაინერ მ. ებრამიანის თავდადებული შრომა. ამ მოწინავე კომბაინერმა კომბაინერ „სკ-4“-ით პირველ დღესვე 13 ჰექტარზე აღო მოსავალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა.

აგარის საბჭოთა არმიის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში ხშირად შეხვდებით აგიტატორებს მ. სარიშვილს, გ. კუპუხიძეს, ა. სამხარაძეს, ც. ინდოაშვილს, ს. ლომსაძეს, ვ. მელიქიძეს. ისინი ცოცხლად და საინტერესოდ აწყობენ საუბრებს, უშვებენ კედლის გაზეთს, საველე ფურცლებს, წერენ პლაკატებს და ლოზუნგებს, ადგენენ დიაგრამებს, თვალსაჩინო ადგილზე აკრავენ ვალდებულებებისა და გეგმის შესრულების მაჩვენებლებს.

რეიდის მონაწილენი ამასთან ერთად წაიწყლნენ მთელ ეზრ ნაკლოვანებებს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, რაც უარყოფითად მოქმედებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობაზე. სოფელ ოშორის კოლმეურნეობაში გამოყოფილი 12 აგიტატორიდან მხოლოდ ორი მუშაობს— სასოფლო კლუბის გამგე ნაზი ბუცხრიკიძე და ბიბლიოთეკის გამგე ცისარა ჭანკოტაძე. სოციშეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. არაფერი არ კეთდება მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისათვის. მივიწყებულია თვალსაჩინო აგიტაცია. არ ეწყობა აგიტმხატვრული ბრიგადების გასვლა მინდვრად. ყოველივე ამის შედეგად კოლმეურნეობაში არადამაკმაყოფილებელია შრომის ორგანიზაცია. მთელ კოლმეურნეობაში მუშაობა მხოლოდ მეგენახეობის ბრიგადაში იგრძნობა. სხვა უბნებზე კი ყოველგვარი საქმიანობა მოდუნებულია. დაწყებული არ არის მოსავლის აღება, მოუწესრიგებელია და გაწმენდა-გარემონტების საჭიროებს სილოსის ორმო.

სოფელ ხიზაბავრის კოლმეურნეობაში საგიტაციო მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. აგიტატორები გაზეთების კითხვას სჯერდებიან და კოლმეურნეობის საჭიროსოროტო საკითხებს გვერდს უვლიან. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ვ. მალაციძე, პროპაგანდისტი ა. ველიჯანაშვილი, კლუბის გამგე ბ. ველიჯანაშვილი გულდამშვიდებით შეიცნობს საწარმოო სამმართველოში შემავალ მეურნეობათა ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებს, რაც მთავარია, იცნობს ადამიანებს და მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას აზმარს ადამიანთა სწავლებას, იმას, რომ უფრო კარგად გამოიყენონ მიწა და ტექნიკა, გაბედულად დანერგონ მეცნიერების მიღწევები, მოწინავე გამოცდილება.

როგორც კი სამმართველოში დაიწყო მუშაობა, სახალხო აგრონომმა კაბინეტიდან შორს დაიჭირა თავი, ერთობაშად ჩაერთო მეურნეობათა საქმეებში.

იცის გიორგიმ — სამმართველოს მეურნეობებს ამ უკანასკნელ წლებში ერთხელაც არ შეუსრულებიათ ბოსტნეულის წარმოების სახელმწიფო გეგმები, დაბალი იყო ხილის მოსავალიც.

წყალტუბოს რაიონის სოფელ ტყაჩირის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ სამბოსტნე ბარდა ითესებოდა. კოლმეურნეობამ ბარდის მოსავალი პარკებად, მწვანე მარცვლად უნდა მიჰყიდოს სახელმწიფოს. ამ მარცვლებიდან ბარდის გემრიელი კონსერვები მზადდება.

შარშანაც ეთესათ ბარდა ტყაჩირში, მაგრამ... თესლი მიწას მიაბარეს და ღვთის მოწყალებას დაელოდნენ. არავის უზრუნია სასუქების შეტანაზე, კულტივაციაზე. შედეგმაც არ დააყოვნა — მეტად მცირე მოსავალი მიიღეს.

კარგ დროს ეწვია სამმართველოს აგრონომი ამ კოლმეურნეობას. ის იყო თესვის იწყებდნენ. გიორგიმ მხვნელ-მთესველებს ხელი აიღებინა ძველებურად, მობნევით თესვაზე, ტრაქტორ ბარდა მთელ ფართობზე მწკრივად დაეთესათ, ხოლო შემდეგ კულტივაცია ჩაეტარებინათ. გონივრული მოთიბება ეუყოფმნოდ შეასრულეს. შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. კოლმეურნეობამ ორათუ სამარცვლე ბარდის მოსავლიანობის გეგმა შეასრულა, თითქმის სამჯერ მეტი მოსავალი — თვითეულ ჰექტარზე 11-ის ნაცვლად 30 ცენტნერი წმინდა მარცვალი მიიღო.

ბარდის ყვავილობის დროს სამმართველოს აგრონომმა ზონის ინსპექტორ-ორგანიზატორებთან ერთად ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ნათესები შემოიარა. ეს იმიტომ, რომ ბევრგან ნათესებში მინდვრის გარეული ბარდა შენიშნა. საჭირო იყო ნათესების გამარგვლა, ნარევის გამორჩევა. გ. ნიკოლაიშვილმა საკითხი სამმართველოს უფროსთან შეათანხმა და მტკიცედ მოითხოვა მარგვლის დაუყოვნებლივ დაწყება. ჯიშიანი და გარეული ბარდის ყვავილების ფერის სხვაობამ სამუშაო გააადვილა. მეურნეობებმა ქუთაისის საკონსერვო ქარხანის ბარდის მთლიანად საღი მარცვალი ჩააბარეს.

და აირის აგრონომ გ. ნიკოლაიშვილის წვლილი მასში, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჯერ კიდევ არასოდეს არ მიეღოთ ბარდის ასეთი უხვი მოსავალი. წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.150 ცენტნერის ნაცვლად, საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 4.300 ცენტნერზე მეტი მწვანე ბარდის მარცვალი.

აგრონომის რჩევით ბოსტნეული დიდ ფართობზე კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესეს. მაგალითად, 720 ჰექტარი ჰამბურგის ნათესიდან ამ პროგრესული წესით დათესილია 520 ჰექტარი.

ბოსტნეულის თესვაზე აგროტექნიკის სხვა მოწინავე მეთოდებიც გამოიყენეს. საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე მუხიანის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკეთისა და მიწაწითლის კოლმეურნეობებში ღია გრუნტში ჰამბურგის თესვა წელს. პირველად მოაწყეს სათეს ბუდნებში კომბინირებული სასუქის (ნაკელის, ტორფისა და მბერალური სასუქების ნარევის) შეტანით.

გამოცდილი სპეციალისტი მარტოოდენ კეთილ რჩევას. როდი აძლევს ადამიანებს. იგი კვალდაკვალ ამოწმებს ადგილებზე საქმის მდგომარეობას და იქვე ეხმარება ხარვეზების გამოსწორებაში.

როცა ტყაჩირის კოლმეურნეობაში სასათბურო მეურნეობას გაეცნო, ეოტა არ იყოს გული ეტკინა გიორგის... კვალსათბურებში ჩათესილ ჰამბურგის ჩითილებს „სიბერე“ შეპარვოდა, ჩითილების გადარგვას კი აგვიანებდნენ. იქვე მოესაუბრა გიორგი აგრონომ ბ. ყვავაძეს და სასათბურო მეურნეობაში მომუშავე კოლმეურნეებს დაამათ თვალწინ გამოსწორა საქმე. ჩითილების გადარგვა დაუყოვნებლივ დაწყეს და სწრაფადაც დამთავრეს.

მაღლაკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში აგრონომი ისის მოწმე გახდა, რომ ჰამბურგის ნათესების ნაწილი მეჩხერად იყო აღმოცენებული, ბუდნები ალაგ-ალაგ გაცდენილი იყო. მისი მითითებით ნათესების მარგვლის დროს მცენარეებით დატვირთული ბუდნებიდან ნერგები გაცდენილ ბუდნებში გადარეს და ასე შეავსეს ხუთი ჰექტარი ფართობი.

მუხიანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ბოსტნეულის თესვის ნორმებს არღვევდნენ, ბუდნებს შუა მანძილს ნაცვლად 70-80 სანტიმეტრისა 90 სანტიმეტრზე ტოვებდნენ. სამმართველოს აგრონომის ჩარევით აგროტექნიკის დარღვევის ეს ფაქტი დაუყოვნებლივ აღიკვეთა.

ახლა, ბოსტნეულის მოვლა-დამუშავების ცხარე დღეებში, სამართველოს აგრონომი იმისთვის ზრუნავს, რომ თოხნა, კულტივაცია, მოორწყვა და ბალნარეთა მკურნალობა, ერთი სიტყვით, ყველა სამუშაო თავის დროზე და კარგად მიდიოდეს.

1.933 ჰექტარი ხეხილის ბაღებიდან, რაც სამმართველოს მეურნეობებს აქვთ, ათას ჰექტარზე მეტი ტყიბულის რაიონზე მოდის. ამიტომაც სამმართველოს აგრონომი ტყიბულელ მებაღეთა ხშირი და სასურველი სტუმარია.

ძმუისის და ლისორეთის კოლმეურნეობებში ხეხილის ბაღების კომბინირებული ხსნარით შეწამვლას აგვიანებდნენ, ამასთან მცენარეთა ნაწილი შემოუბარავი იყო. აგრონომი გ. ნიკოლაიშვილი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და სპეციალისტებს მოელაპარაკა, იმავე დღეს მცენარეთა დაცვის აგრონომი დ. ტუსაძე ინახულა და მუთითა დაუყოვნებლივ დაეწყოთ ხეხილის მკურნალობა. ამ სამუშაოს, აგრეთვე ძირების შემობარვას სამეთდ ღღეში მორჩნენ.

წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, მდინარე ყუმის ნაპირზე გაშენებული ხეხილის ბაღი ამ უკანასკნელ წლებში სრულიად არ იძლეოდა მოსავალს. ადგილზე იმ აზრისა იყვნენ, რომ უნაყოფო ხეები ამოეძირკვათ. სამართველოს აგრონომმა ეს რომ გიგო, ადგილზე გაჩნდა, კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს და მებაღეებს ურჩია მცენარეთა გაახალგაზრდავების მიზნით ტოტები გადაეჭრათ და გადაემყნოთ. ეს აზრი ყველამ გაიზიარა და მოიწონა.

საწარმოო სამმართველოს სპეციალისტთა ჯგუფმა გ. ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით დაწვრილებით შეისწავლა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ხანის კოლმეურნეობის ეკონომიკა. გამოირკვა, რომ თუმცა კოლმეურნეობას ბოსტნეულის მოყვანის შესანიშნავი პირობები და გამოცდილება აქვს, უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივი მეურნეობის ეს დარგი სრულებით თავმიხებებული იყო. გ. ნიკოლაიშვილმა ადგილზეც დაათვალიერა სავარგულები, სპეციალისტებთან და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებთან ერთად შეარჩია კომბოსტოს, სტაფილოს და კარტოფილის სათესი ნიადაგები და თავისი მოსაზრებები წარუდგინა საწარმოო სამმართველოს უფროსსა და აპარატს.

სპეციალისტის აზრი სამმართველოშიც მოიწონეს და კოლმეურნეთა საერთო კრებაზეც. ხანელმა კოლმეურნეებმა უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები ბოსტნეულის მოვლა-მოყვანისათვის.

ბოსტნეულის წარმოების გადიდებას დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი მთელი ხალხის ინტერესებს ეხება. ამიტომაც ასე დღეენიადაგ ზრუნავს საწარმოო სამმართველოს აგრონომი იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანების სუფრაზე იყოს სულ უფრო მეტი და იაფი ბოსტნეული და ხილი, რომ ამ პროდუქტების წარმოების გეგმას მთლიანად და გადამეტებით ასრულებდეს ყველა მეურნეობა.

შ. ჩაჩუბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სასწავლო წელი შორს აღარ არის, როგორ ემზადებით თქვენ?

ზარის მოლოდინში

—სად მუშაობენ შოთა მოდებაძის, არსენ წიკლაურის, ნოდარ ლაცაბაძისა და ალიოშა ზოდელავის მშენებელთა ბრიგადები? — ასეთი კითხვით მივმართეთ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველოს პარტბიუროს მდივანს ს. როსტიაშვილს.

— ყველანი გადავიყვანეთ მტკვრის მარჯვენა ნაპირის დასახლებაში სასკოლო მშენებლობაზე, — გვიპასუხა როსტიაშვილმა და ხელით მიგვითითა უზარმაზარ შენობებზე, რომლებიც ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, შენდება.

პირველად ქართული საშუალო სკოლის მშენებლობას ვეწვიეთ. 1.000-მდე მოსწავლისათვის არის ეს შენობა გათვალისწინებული. სკოლის მშენებლობა ფაქტიურად წელს დაიწყო.

— 1 სექტემბერს აქ დაირეკება პირველი ზარი და ჩვენი ახალი თაობა შეუდგება სწავლას, — გვითხრა მშენებლობის უბნის უფროსმა ე. ჩიფიჩაძემ და იქვე დაურთო: — აქ საკვბკო არაფერია, რაკი ვიკისრეთ, კიდევაც გავაკეთებთ.

— ვინ აფინანსებს სკოლას?

— მეტალურგიული ქარხანა.

— რა დაჯდება?

— 400.000 მანეთი. სასკოლო ოთახებისა და კაბინეტების გარდა მას ექნება მრავალი სხვადასხვა სახელოსნო. ცალკე კორპუსში გახსნილი იქნება სპორტული და საკატო დარბაზები. თვით სკოლის ეზოში გაკეთდება სპორტული მოედანი. სკოლის ტერიტორია ორ ჰექტარზე მეტს დაიკავებს.

მშენებლობას აფერხებდა ის, რომ ხის დამმუშავებელმა კომბინატმა ვერ უზრუნველყო მშენებლები რაფებით, ფერხდება აივნებისა და კედლების, აგრეთვე საკლასო ოთახების შელესვა. მშენებლები აღინიშნეს ორგანიზაციის მისამართით იმ პრეტენზიასაც გამოთქვამენ, რომ იგი აგვიანებს საკლასო ოთახებში ტანსაცმლისათვის საჭირო კარადების დამზადებას. ამას წინათ მშენებლობაზე გაიმართა საქალაქო საბჭოს აღმასკომის გაფსელი სხდომა. სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად აღმასკომის სხდომამ ზემოთ აღნიშნულ ნაკლსაც მიაქცია ყურადღება და მტკიცედ მოითხოვა კომბინატისაგან დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მშენებლები ყველა საჭირო მასალით.

ჩვენი აზრით, შენობის დროულად ჩაბარებისათვის საჭიროა ახლავე იქნას დაწყებული სართულთაშორისი კიბეების დაყენება. სხვა რომ არაფერი, ეს თვით მშენებლებსაც შეუწყობდა ხელს ნორმალურად აწარმოონ მუშაობა ზედა სართულებზე.

მშენებლებთან საუბარში გამოირკვა, რომ ზოგიერთი სამონტაჟო ორგანიზაცია მთელი სერიოზულობით არ უდგება დაკისრებულ მოვალეობას. ამ საკითხზე მშენებლები ასე ამბობენ:

— ქების ღირსი არიან სპეციმშენის ბამმართველო და „კაველექტრომონტაჟის“ უბანი, მადლობას ვერ ვიტყვით „კავსანტეხმონტაჟის“ რუსთავის უბანს და „ტრანსსპეცმშენის“ სამმართველოს. და მართლაც: ამ უკანასკნელებს სრული საშუალება აქვთ მთელი ფრონტით გაშალონ მუშაობა, მაგრამ რატომღაც არ ჩქარობენ. მართალია, ჯერ კიდევ არის დრო, მაგრამ დაკვრითი ტემპებია საჭირო, რომ შენობა დროზე დამთავრდეს.

ახლა რუსული საშუალო სკოლის მშენებლობას ვეწვიოთ. აქ კიდევ უფრო მეტი გამოცოცხლებაა. მოცულობით იგი უფრო მეტია, ვიდრე ქართული სკოლა. მშენებლობა კი გაცილებით გვიან დაიწყო. მაგრამ, როგორც უბნის უფროსი ვ. ყუფუნია აცხადებს, 15 აგვისტოსდე ძალიან ბევრია, გასაღები, რომელიც, თითქოს ყველა კარს აღებდა, აკეთმდე მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს აღებს. მაგრამ, ამბობს მეცნიერი, ჩვენ ახლა ზუსტად ვიცით ის საკითხები, რომლებზეც უნდა გუპასუხოთ, რომ გადავჭრათ ვირუსია თუ არა კიბოს წარმომშობი. და ეს, ალბათ, ყველაზე მთავარია ახლა.

ევროპის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი ა. გრაფი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელიც დღეს თავმჯდომარეობს ვირუსოლოგთა სექციის სხდომას, ფიქრობს, რომ ვირუსის, როგორც ადამიანის სიმსივნეთა პირველმიზეზის, ჰიპოთეზა დადასტურებულ იქნება ახლო მომავალში. ამის საფუძველიან დასაბუთებად მიაჩნია საბჭოთა მეცნიერის ვ. ბერგოლცის ექსპერიმენტი, რომელმაც შეძლო გამოეწვია თაგვების ლეიკემია ადამიანის სიმსივნის უუჯრედო ფილტრატით.

დღეს-კვლავ განიხილავდნენ ონკოლოგიის მეორე უმნიშვნელოვანეს პრობლემას — წამლების საშუალებით კიბოს მკურნალობის პრობლემას. მედიცინაში არსებულ ქიმიურ-პრეპარატთა (ასეთი დაახლოებით ოცდაათია) ნაკლი ის არის, რომ მათ უმრავლესობას ერთნაირი ეფექტი აქვს. როგორც ცხადყვეს მოხსენებებმა სექციაზე, ახალი წამლების ძიების სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

პროფესორმა ლ. ფ. ლარიონოვმა (სსრ კავშირი) პრეს-კონფერენციაზე ილაპარაკა წამლების საშუალებით კიბოს მკურნალობის სხვადასხვა წესზე. ერთ-ერთი ახალი მეთოდია პერფუზია, ესე იგი წამლის შეყვანა სხეულის გარკვეულ ნაწილში ხელოვნური სისხლის გადასხმის აპარატის დახმარებით.

მიღებულია კარგი შედეგები ისეთი სახის მკურნალობისგანაც, როცა ავადმყოფს ერთდროულად აძლევენ ტოქსიკურ დოზებთან მიახლოებულ წამლებს და სხვა პრეპარატებს, რომლებიც აბათილებენ მათ მავნე მოქმედებას.

დისკუსიის მონაწილეებმა მოითხოვეს კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენება სხივიერ თერაპიასთან და ქირურგიულ ჩარევასთან კომპლექსით.

დღეს და ცხრა სექციური სხდომა. მათ მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა, მათ შორის ტ. კასპერსონმა (შვეიცია), ჯ. რ. პორტერმა (ამერიკის შეერთებული შტატები), ჯ. კლემენსენმა (დანია), ჯ. მარეიმ (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), რ. დოლმა (დიდი ბრიტანეთი), ხ. ხამპერლმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ჯ. ბელიზარიომ (ავსტრალია), რ. ცანგემა (ბულგარეთი), ი. მ. ვასილიევმა (სსრ კავშირი), ჯ. მეზენმა (ბელგია), ე. მ. ვერმელმა (სსრ კავშირი), ს. სელეიმ (უნგრეთი) და სხვ.

უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში უჩვენებდნენ კიბოს პრობლემის დარგში მეცნიერული კვლევისადმი მიძღვნილ ფილმებს.

ერთ ცვლად იმეცადინებენ

მაიაკოვსკი, (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ ახალი სასწავლო წლისთვის მზადებას. მიმდინარე წელს დაამთავრებენ სოფელ როხის საშუალო სკოლის მშენებლობას, ახალ საკლასო ოთახებს მიუშენებენ სოფლების — ნერგეეთის, ზედა დიმისა და დიმის მეორე რვაწლიან სკოლებს. ყველა ეს სკოლა ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადავა. საერთოდ რაიონის 35 სკოლიდან ერთ ცვლად იმეცადინებს 29 სკოლა.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სასკოლო შენობებისა და დგამ-ავეჯის რემონტი. შენობათა რემონტი უკვე დაამთავრეს წითელწყაროს საშუალო, ამავე სოფლის რვაწლიანი, დაბა მაიაკოვსკის ე. ნინოშვილისა და ვ. მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლებმა. დაიწყო სკოლებისათვის ახალი ინვენტარის შემოწოდება. უკვე შეძენილია ასი მერხი, ამდენივე დაფა და სკამი. კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასწავლო სახელოსნოებისათვის წელს სკოლები შეიძენენ 12.000 მანეთის ხელსაწყო-იარაღებს.

სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ მშრომელები, შვიდი კოლმეურნეობები და საწარმოები. ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ამავე სოფლის საშუალო სკოლას გადასცა ოთახები საზეიმოდ და სადურგლო სახელოსნოებისათვის. წითელსვიერის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობა ახალ ადგილზე აშენებს და აფართოებს ამავე სოფლის დაწყებით სკოლას. დაბა მაიაკოვსკში მთავრდება მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ახალი სასწავლო წლიდან საწარმოო სწავლებაზე გადავა რაიონის თორმეტივე საშუალო სკოლა.

კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით

ხობი. (საკ. კორ.). სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაში იყო. ფართო კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ეს მდგომარეობა დიდი ხანია აღელვებდა დირექტორს, საბჭოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებს. კოლმეურნეებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს მათი შრომითი მონაწილეობით დაეწყოთ საშუალო სკოლის ტიპური შენობის აგება.

სოფლის ცენტრში გამოჰყვეს მიწის დიდი ფართობი და საძირკველი ჩაუყარეს ორსართულიანი სკოლის შენობას 420 მოსწავლისათვის. სკოლას თავისი კაბინეტ-ლაბორატორიები და ფიზკულტურის დარბაზი ექნება. მშენებლობისათვის რაიონის ბიუჯეტიდან გამოიყო 10 ათასი მანეთი. ახლა მშენებლობა სწრაფად მიმდინარეობს, კოლმეურნეები თვითონ ამბობენ საშენ ბლოკებს.

კოლმეურნეები მ. ლაგვილავა, ი. დარასელია, კ. კვიკვინია, გ. ჯობავა, მასწავლებელი ვ. პაპკორია, სკოლის დირექტორი ვ. ბუკია და სხვ. ფიზიკური შრომით პირად დამალთის უჩვენებენ სოფლის მცხოვრებლებს.

განზრახულია დამხმარე მუშებისათვის ფული არ დახარჯონ, მათს სამუშაოს თვითონ შეასრულებენ. დაიქირავებენ მხოლოდ დურგლებს, კალატოზებს და სხვა აუცილებელ სპეციალისტებს.

სიუხვის ორგანიზაციორი



სურათზე: გაზსადენი მილების გადაზიდვა ტრასაზე.

ფოტო ს. თბილელისა.

ამგვისტოს ანგარიშში

თბილისის ფანერის ქარხნის კოლექტივმა 24 ივლისისათვის შეასრულა შვიდი თვის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით ქვეყანას 40 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა. აქ წლის პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერება ექვსი პროცენტით გაზარდეს.

შრომაში სახელი გაითქვა გ. აბუაშვილის ბრიგადამ, რომელმაც შვიდი თვის საწარმოო დავალება ჯადაგდე შეასრულა და ახლა პროდუქციას აგვისტოს ანგარიშში იძლევა.

ქიბო დამარცხებულ იქნება

ქიბოს საწინააღმდეგო მერვე საერთაშორისო კონგრესი

მოსკოვი, 24 ივლისი. (საკუდესი). პროფესორი ლ. ა. ზილბერი ოც წელზე მეტია მუშაობს სიმსივნეთა ვირუსული წარმოშობის პრობლემაზე. მისი კონცეფციით, ვირუსის როლი აქტიურად ვლინდება დაავადების პირველ ფაზაში. მეცნიერს მიაჩნია, რომ ვირუსი იწვევს ნორმალური უჯრედის მემკვიდრეობით გადაზრდას სიმსივნის უჯრედად. კიბოს ამ ადრეულ სტადიას, როგორც სპეციალისტები ამბობენ, არა აქვს კლინიკური სიმპტომები.

კიბოს წარმოშობის ვირუსული თეორია, თქვა ლ. ა. ზილბერმა თავის ლექციაში, რომელიც უნივერსიტეტის საჯარო დარბაზში წაიკითხა, ახლა იმ ეტაპზეა, როცა საჭიროა ადამიანის სიმსივნეთა ადრეული სტადიების ექსპერიმენტული მონაცემები. ცხოველთა ბუნებრივად წარმოშობილი სიმსივნეების უმრავლესობა ვირუსული ბუნებისა აღმოჩნდა. ძნელია ვივარაუდოთ, რომ ადამიანის ავთვისებიანი წარმონაქმნები გამონაკლისი იყოს ამ წესიდან.

გაურკვეველი, საწინააღმდეგო მონაცემები ვირუსულ თეორიაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია, გასაღები, რომელიც, თითქოს ყველა კარს აღებდა, აკამდე მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს აღებს. მაგრამ, ამბობს მეცნიერი, ჩვენ ახლა ზუსტად ვიცით ის საკითხები, რომლებზეც უნდა გუპასუხოთ, რომ გადავჭრათ ვირუსია თუ არა კიბოს წარმომშობი. და ეს, ალბათ, ყველაზე მთავარია ახლა.

ევროპის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი ა. გრაფი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელიც დღეს თავმჯდომარეობს ვირუსოლოგთა სექციის სხდომას, ფიქრობს, რომ ვირუსის, როგორც ადამიანის სიმსივნეთა პირველმიზეზის, ჰიპოთეზა დადასტურებულ იქნება ახლო მომავალში. ამის საფუძველიან დასაბუთებად მიაჩნია საბჭოთა მეცნიერის ვ. ბერგოლცის ექსპერიმენტი, რომელმაც შეძლო გამოეწვია თაგვების ლეიკემია ადამიანის სიმსივნის უუჯრედო ფილტრატით.

დღეს-კვლავ განიხილავდნენ ონკოლოგიის მეორე უმნიშვნელოვანეს პრობლემას — წამლების საშუალებით კიბოს მკურნალობის პრობლემას. მედიცინაში არსებულ ქიმიურ-პრეპარატთა (ასეთი დაახლოებით ოცდაათია) ნაკლი ის არის, რომ მათ უმრავლესობას ერთნაირი ეფექტი აქვს. როგორც ცხადყვეს მოხსენებებმა სექციაზე, ახალი წამლების ძიების სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

პროფესორმა ლ. ფ. ლარიონოვმა (სსრ კავშირი) პრეს-კონფერენციაზე ილაპარაკა წამლების საშუალებით კიბოს მკურნალობის სხვადასხვა წესზე. ერთ-ერთი ახალი მეთოდია პერფუზია, ესე იგი წამლის შეყვანა სხეულის გარკვეულ ნაწილში ხელოვნური სისხლის გადასხმის აპარატის დახმარებით.

მიღებულია კარგი შედეგები ისეთი სახის მკურნალობისგანაც, როცა ავადმყოფს ერთდროულად აძლევენ ტოქსიკურ დოზებთან მიახლოებულ წამლებს და სხვა პრეპარატებს, რომლებიც აბათილებენ მათ მავნე მოქმედებას.

დისკუსიის მონაწილ

ახალი მსოფლიო
და ძველი ჰანგები

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში

ჟენევა, 24 ივლისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ი. მაზორი იუწყება:

18 ქვეყნის განიარაღების კომიტეტის ფლეგანდელმა, ერთი თვის დასვენების შემდეგ მეოთხე სხდომამ მეთვალყურეთა დიდი ყურადღება მიიპყრო, რამდენადაც მასში მონაწილეობა მიიღეს კომიტეტის მონაწილე მთელი რიგი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

შეტანს თუ არა მათი გამოსვლები ახალ რამეს კომიტეტის მუშაობაში, მსაცემენ თუ არა ისინი ახალ იმპულსს კომიტეტის მთავარი და ძირითადი ამოცანის გადაჭრას — შეთანხმების მომზადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, — აი რაზე ლაპარაკობდნენ კომიტეტის კულუარებში სხდომის წინ.

ინდოეთის დელეგაციის მეთაურმა თავდაცვის მინისტრმა კრიშნა მენონმა, რომელიც დღეს პირველი გამოვიდა, სწორედ ასე დასვა საკითხი.

ჩვენ გესწრაფვით, თქვა მან, არა შეიარაღების შეზღუდვასა და არა შეიარაღებისადმი კონტროლს, არამედ ომის თავიდან აცილებისა და ომებიანებას ხალხთა ცხოვრებიდან საყოველთაო და სრული განიარაღების გზით. ინდოეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა აგრეთვე განხილვა ისეთი ღონისძიებებისა, რომლებიც ემსახურება დაძაბულობის შენელებას, უეცარი თავდასხმისა და ატომური იარაღის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილებას, როგორიცაა ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტა. მაგრამ ყველა ღონისძიების განხორციელებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მთავარი, ძირეული ამოცანა. ხოლო ეს ამოცანაა, თქვა ქ. მენონმა, საყოველთაო და სრული განიარაღება, ომის საფრთხის მთლიანად აღმოფხვრა და არა რაღაც „ომის წარმოების წესების“ დადგენა.

ინდოეთის წარმომადგენლის სიტყვის სწორედ ამ ადგილს ყველას გაახსენდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მაკნამარას ამასწინანდელი სიტყვა, რომელმაც მოითხოვა ომუშაონ არა განიარაღების ხელშეკრულების მომზადებაზე, არამედ ატომური ომის წარმოების კოდექსის შემუშავებაზე.

კრიშნა მენონმა თავიდანვე მტკიცედ გაუსვა ხაზი იმას, რომ ურთიერთმისაღები შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის პოზიციების დაახლოების, კომპრომისის საფუძველზე.

მაგრამ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ჰიუმის, ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მდივნის დ. რასკის, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის გ. გრინის გამოსვლებმა ცხადყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოები არ აპირებენ თუნდაც ერთი ნაბიჯით გადაუხვიონ თავიანთ პოზიციას, რომელიც ხელს უშლის განიარაღების საქმეს. მათ ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ სსრ კავშირის წინადადებათა დასაკმაყოფილებლად, თუმცა კომიტეტის მუშაობის განახლების შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა მთელი რიგი ახალი დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილებს იმდენად, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან განიარაღების ამოცანას.

დასავლეთის ქვეყნების ნამდვილი დამოკიდებულება ამ ამოცანისადმი გამოიხატა ა. ჰიუმის „ფილოსოფიური მსჯელობით იმის შესახებ, რომ ადამიანები და ხალხები არასოდეს არ ყოფილან კეთილი მეზობლები, რომ საყოველთაო განიარაღებისათვის საჭიროა შეიცვალოს ადამიანის თვით ბუნება და სხვ.

ნატოს სახელმწიფოების თავისებური მიდგომა განიარაღების შესახებ მოლაპარაკებისადმი დღეს გამოიხატა იტალიის დელეგატის გამოსვლაში. მან აღიარა, რომ სსრ კავშირის დელეგაციამ თავის მთელ რიგ ახალ წინადადებებში გაითვალისწინა დასავლეთის სახელმწიფოების სურვილები. დაე, თქვა მან, ეს პატარა ნაბიჯია, მაგრამ ნაბიჯია სწორი მიმართულებით. ამ მიმართულებით საჭიროა სვლა შემდეგშიც.

რაც შეეხება დასავლეთის სახელმწიფოთა შემხვედრ სვლას, იტალიის წარმომადგენელს ამაზე სიტყვაც არ დუძრავს.

ყოველივე ამან ერთხელ კიდევ დაადასტურა, და ეს აღნიშნა თავის დღევანდელ განცხადებაში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ჯერჯერობით არ იჩენენ სურვილს მიაღწიონ შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების პროექტის გამო.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს ფილიპინების დედაქალაქში გადაიდო ყველა მეცადინეობა სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, რამდენადაც ვერც მოსწავლეები, ვერც მასწავლებლები ვერ მიგიდნენ მეცადინეობის ადგილამდე. ტრანსპორტის მოძრაობა მანილის მიდამოებში მრავალი საათით შეწყდა. თვით ქალაქში კი წყალდიდობამ მწყობრიდან გამოიყვანა ასობით ავტომანქანა.

□ **უცნობელთა საინფორმაციო სააგენტოების მიერ ჰონოლულუდან მიღებული ცნობებით 25 ივლისისათვის კუნძულ ჯონსტონზე დანიშნული ამერიკის ატომური იარაღის აფეთქება დიდ სიმაღლეზე კვლავ გადადებულია, უკვე მეორედ, სულ ცოტა ოცდათხუთხი საათით. აფეთქების გადადების ოფიციალურ მიზეზად კვლავ ასახელებენ „არახელსაყრელ ამინდს“.**

□ **პარიზის** პრესის ცნობით, 1 ივლისიდან (ალჟირში რეფერენდუმის მოწყობის დღე) 21 ივლისამდე ალჟირიდან საფრანგეთში 80 ათასზე მეტი ევროპელი წავიდა. მარტო უკანასკნელ კვირაში საფრანგეთში თითქმის 30 ათასი კაცი ჩამოვიდა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ **ფილიპინებში** 24 ივლისს, ღამით მდინარე პამპანგის წყლების კოლოსალური დაწოლით დაინგრა 22 კაშხალი. ბობოქარმა წყლის სტიქიამ მოსპო ბრინჯის ნათესები.

ეს შედეგია კოკისპირული ტროპიკული წვიმებისა, რომლებიც უკვე ერთი კვირაა არ წყდება ლუსონის კუნძულზე. დღეისათვის წყალდიდობის გამო უსახლკაროდ დარჩა ასი ათასამდე მცხოვრები. ზარალი მილიონობით დოლარს შეადგენს.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს ფილიპინების დედაქალაქში გადაიდო ყველა მეცადინეობა სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, რამდენადაც ვერც მოსწავლეები, ვერც მასწავლებლები ვერ მიგიდნენ მეცადინეობის ადგილამდე. ტრანსპორტის მოძრაობა მანილის მიდამოებში მრავალი საათით შეწყდა. თვით ქალაქში კი წყალდიდობამ მწყობრიდან გამოიყვანა ასობით ავტომანქანა.

□ **უცნობელთა** საინფორმაციო სააგენტოების მიერ ჰონოლულუდან მიღებული ცნობებით 25 ივლისისათვის კუნძულ ჯონსტონზე დანიშნული ამერიკის ატომური იარაღის აფეთქება დიდ სიმაღლეზე კვლავ გადადებულია, უკვე მეორედ, სულ ცოტა ოცდათხუთხი საათით. აფეთქების გადადების ოფიციალურ მიზეზად კვლავ ასახელებენ „არახელსაყრელ ამინდს“.

კენიაში — ინგლისის კოლონიაში, რომელიც დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძვის, იზრდება მუშათა მოძრაობა თავიანთი უფლებების დასაცავად. ამას წინათ კენიის მთავარ ქალაქში — ნაიროობში გაიმართა გარაჟებისა და ავტობუსის ხაზების მუშათა გაფიცვა. სხვა საწარმოებში გაფიცულნი მოითხოვდნენ შრომის პირობების გაუმჯობესებას. **სურათზე: გაფიცულთა კრება ნაიროობში.**

ფოტო იუპი—საკდესისა.

ა. ი. მიკოიანი დელიში ჩავიდა

დელი, 24 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი და მისი თანმხლები პირნი, რომლებიც ინდონეზიიდან დაბრუნდნენ, დღეს დელში ჩავიდნენ.

მუშაობისმოყვარე ძალების გამარჯვება

ჰეკინი, 24 ივლისი. (საკდესი). წარმატებული, რომლებიც მიღწეულია ქვეყნის თათბირზე ლაოსის გამო, წერს დღეს მოწინავე სტატიაში გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“, ლაოსელი ხალხის დიდი გამარჯვებაა დამოუკიდებლობისათვის, ერთიანობისათვის, მშვიდობისა და ნეიტრალიტეტისათვის ბრძოლაში, მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი გამარჯვებაა.

საერთაშორისო შეთანხმების დადება ლაოსის საკითხზე ხელს უწყობს დაძაბულობის შენელებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში და მშვიდობის შენარჩუნებას აზიაში, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი. ომის კერის ლიკვიდაცია ლაოსში, ლაოსის ეროვნული კოალიციური მთავრობის შექმნა, ლაოსის ნეიტრალიტეტის აღდგენა ძლიერ ლაბვარს სცემს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ გეგმებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ჟენევის თათბირის წარმატებით დამთავრებას და ამიდან გვაქვს, რომ შესაძლებელი იქნება ნამდვილად განხორციელდეს შეთანხმება, რომელსაც ამ თათბირმა მიაღწია, წერს დასასრულ გაზეთი. ჩვენ აგრეთვე ვიმედოვნებთ, რომ ლაოსის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა შეიძლება გახდეს ახალი ამოსავალი პუნქტი დაძაბულობის შენელებისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ეპოქის პირამიდა

ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფო ახალი ტიპის სახელმწიფოა

კითხვაზე, რა გზით წავლენ კოლონიალიზმისგან ეფლისგან განთავისუფლებული ქვეყნები — კაპიტალისტური თუ არაკაპიტალისტური განვითარების გზით, — სკკპ პროგრამაში ნათქვამია:

„ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხებისათვის ფართო პერსპექტივები ისახება **ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოს** შექმნისა და განვითარების გზებზე. ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველია ბლოკი მთელი პროგრესული, პატრიოტული ძალებისა, რომლებიც იბრძვიან სრული ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ფართო დემოკრატიისათვის, ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური, დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის“.

თანამედროვე ეპოქაში, როცა მსოფლიოს სოციალისტური სისტემა გადაწყვეტი ფაქტორი გახდა ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში, ხოლო იმპერიალიზმმა დაკარგა თავისი განეყოფელი ბატონობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ახალი შინაარსი და ახალი ფორმა მიეცა.

განვითარების ახალ პერიოდში შესული ერების ინტერესები მოითხოვს კოლონიალიზმის ნამთების მოსპობას, იმპერიალიზმის ბატონობის ამოძირკვას, უცხოთის მონოპოლიების განდევნას, ეროვნული მრეწველობის შექმნას, ფეოდალური წესებისა და გადმონაშთების გაუქმებას, რადიკალური აგრარული გარდაქმნების გატარებას, დამოუკიდებელი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციას, პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

სოციალისტური ქვეყნები დიდ უანგარო დახმარებას უწევენ განთავისუფლებულ ქვეყნებს მათს ეროვნულ აღორძინებაში, დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნაში. ეს დახმარება მათ ეწევათ იმ შემთხვევაშიც, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ალმით მიმდინარეობს. მარქსიზმ-ლენინიზმი განსხვავებას ხედავს ჩაგრული ერის ნაციონალიზმსა და ჩაგვრელი ერების ნაციონალიზმს შორის. ჩაგრული ერის ნაციონალიზმში არის საერთო-დემოკრატიული შინაარსი, რომელიც მიმართულია ჩაგვრის წინააღმდეგ, და კომუნისტები მხარს უჭერენ მას, მიაჩნიათ იგი ისტორიულად გამართლებულად გარკვეულ ეტაპზე. ვ. ი. ლენინი წერდა:

„ჩაგრული ერის ყოველ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში არის საერთოდემოკრატიული შინაარსი ჩაგვრის **წინააღმდეგ**, და აი ამ შინაარსს ჩვენ **უპირველ** ვუჭერთ მხარს.

თუმცა ჩაგრული ერის ნაციონალიზმი შეიცავს იმ მხარესაც, რომელიც რეაქციული ეკლესიატატრული ზედაფენის იდეოლოგიასა და ინტერესებს გამოხატავს, მაგრამ მოცემულ ეტაპზე მასში ძირითადად გამოხატულია ჩაგრულ ხალხთა მისწრაფება იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისაკენ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და აღორძინებისაკენ.

სრულიად საწინააღმდეგო მისწრაფებებით ხელმძღვანელობს მონოპოლისტური კაპიტალი, რეკლამას რომ უკეთებს თავის „დახმარებას“ ყოფილი კოლონიური ქვეყნებისადმი. მისთვის მთავარია ის, როგორც ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვი სიბეჭდოთა კავშირ-მალის მეგობრობის მიტინგზე, რომ „ჯერ მოიპოვოს ნდობა, ხელი იგდოს სუსტად განვითარებული სახელმწიფოს ეკონომიკა, რათა შემდეგ ჩასჭიდოს კლანჭები, გარს შემოერტყას ამ სახელმწიფოს და იკვებოს მისი წვენით“. მაგრამ ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოები იბრძვიან მათ წინაშე მდგომი ეკონომიური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის. ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოები წყვეტენ შემდგომი განვითარების გზების საკითხს, რომელიც არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საკითხია, არამედ **თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაც არის.**

ახლა, როცა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა საიმედო ფარია იმ ხალხებისათვის, რომლებიც თავისუფლებისა და პროგრესისათვის იბრძვიან, მათთვის ბევრად უფრო ადვილია იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. საკუთარ სახლში ბატონობენ. რომ ხდებიან, მათთვის იქმნება საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრეების, მატერიალური და ადამიანთა რესურსების, მთელი საკუთარი შესაძლებლობების იმისათვის გამოყენების ხელსაყრელი პერსპექტივები, რომ მიაღწიონ სრულ დამოუკიდებლობას და აირჩიონ თავიანთი შემდგომი განვითარების გზა.

ეკონომიკასა, მეცნიერებასა და კულტურაში საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების უდიდესი წარმატებანი თავისებური მაგნიტია, მძლავრი მიმზიდველი ძალაა, რომელიც შეუკავებლად იზიდავს სოციალიზმის გზაზე ყველა ხალხს და კერძოდ იმ ხალხებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან ან ჯერ კიდევ იბრძვიან თავიანთი განთავისუფლებისათვის.

მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემაში დარჩენილი ქვეყნების ეროვნული ბურჟუაზიაც კი გაიტაცა ანტიკაპიტალისტურმა ტენდენციებმა, იმისადმი მისწრაფებამ, რომ თავიდან აიცილონ კაპიტალიზმის იარები ან მინიმუმამდე შეამცირონ განვითარების კაპიტალისტური სტადია. ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოები განვითარების ახალ გზებს რომ ეძებენ, რომლებიც მათ კაპიტალისტურ სტადიას აიცილებს თავიდან, იმას მოწმობს, რომ კაპიტალისტური სისტემა ირღვევა და მან დაკარგა თავისი მიმზიდველობა.

ნამდვილი ეროვნული აღორძინების ფართო პერსპექტივებს ქმნის ახალი ტიპის სახელმწიფო — ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფო, რომელიც მასების პროდუქტია და მშენებლობის „ავავებისა და პროგრესის ახალი ისტორიული ეტაპია.

ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფო არ არის უბრალო ეროვნული დემოკრატიული ხელისუფლება, რომელიც დამოკიდებულია წარმავალ პირობებზე; შემთხვევითობაზე და მერყევ ვითარებაზე. იგი არც სოციალისტური სახელმწიფოა საბჭოთა ან სახალხო-დემოკრატიული ფორმით, არც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოა კლასიკური დასავლეთური ფორმით.

ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფო ახალი ტიპის სახელმწიფოა, რომელიც შესაძლებელი გახდა თანამედროვე ეპოქაში, როცა ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში მსოფლიო სოციალისტური სისტემა გადამწყვეტი ფაქტორი გახდა.

ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფო იშვა ისტორიული და სოციალურ-ეკონომიური პირობების გამო კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში, მასების რევოლუციური შემოქმედების შედეგად. ეს სახელმწიფო შეესაბამება იმ ეტაპს, რომელსაც განიცდიან ის ქვეყნები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდნენ კოლონიალიზმისაგან და დაადგნენ მათთვის სადღეისოდ ძირითადი პრობლემის გადაჭრის გზას — ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური, დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანის გზას. ამ ამოცანის გადაჭრის, მასში მთელი პროგრესული, პატრიოტული ძალების ჩაბმის მიხედვით, დასასრულ, კლასობრივი ძალების თანაფარდობისა და სოციალისტური ბანაკის მხარდაჭერის მიხედვით — ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფო შეიძლება გახდეს **სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის ეტაპი.**

ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოება ამჟამად არიან მალი, განა, გვინეა. ეროვნული დემოკრატიის ამ ეტაპით სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს კუბის რესპუბლიკა, რომელიც ამჟამად სოციალიზმის საფუძველს აშენებს.

მალის რესპუბლიკაში ხელმძღვანელი პოლიტიკური ძალა პარტია სუდანის კავშირი. ეს მასობრივი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაა. მის შემადგენლობაში შედის წინათ არსებული ყველა პარტია და პოლიტიკური ჯგუფი. პარტია მოიცავს მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენებს: მუშებს, გლეხებს, ეროვნული ბურჟუაზიის პროგრესულ ნაწილს, პატრიოტულ ინტელიგენციას და სხვ. პარტიის გენერალური მდივანია მოდიბო კეიტა.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა და აფრიკის სახელმწიფოების მეგობრული მხარდაჭერით მალის ხალხმა მიაღწია საფრანგეთის ჯარების ევაკუაციას თავისი ქვეყნიდან, თავისი დამოუკიდებლობის აღიარებას და თავის ტერიტორიაზე საფრანგეთის ბაზების ლიკვიდაციას. იცავს რა ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის, ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობის, სუვერენიტეტის ერთიერთ პატივისცემისა და სხვათა საქმეებში ჩაუერევლობის პოლიტიკას, მალი საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებში ანტიიმპერიალისტური პოზიციებიდან გამოდის.

მალის მთავრობის უმნიშვნელოვანესი შინაპოლიტიკური ამოცანაა ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა წარმოებასა და გაცვლაზე სახელმწიფოს ეფექტური კონტროლი, საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი სექტორების ნაციონალიზაციის განხორციელება, წარმოებისა და მოხმარების სექტორების კოოპერაციული მოძრაობის განვითარება.

1961 წლის ოქტომბერში მთავრობამ დაამტკიცა ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების (1961-1965 წწ.) ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ ეკონომიკაში 64 მილიარდი აფრიკული ფრანკის დაბანდებას. 1961 წლის დამლევისათვის მალიში კოოპერირებული იყო 1.500 სოფელი, ესე იგი ამ ქვეყნის სოფლის მოსახლეობის 15-20 პროცენტი.

მთავრობას განზრახული აქვს შექმნას მრეწველობაში სახელმწიფო სექტორი ეტრეთ საწარმოთა გამოსყიდვის გზით. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის პროდუქციის გადიდებას 40 პროცენტით. ხორციელდება კულტურული და სოციალური ხასიათის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, მზადდება შრომის კანონმდებლობა.

მალის რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის დიდი უანგარო დახმარებით სარგებლობს.

ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური, დემოკრატიული რევოლუციის გზით, ქვეყნის პროგრესულ პატრიოტულ ძალებზე დაყრდნობით, მალი წარმოადგენს ახალი ტიპის სახელმწიფოს, რომელიც მიზნად ისახავს ბოლომდე მიიყვანოს ბრძოლა კოლონიალიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ, შექმნას დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკა სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლისათვის.

თავის მხრივ განის რესპუბლიკამ სავსებით შეიგნო, რომ სუვერენიტეტი არ შეიძლება დამყარდეს და განმტკიცდეს, თუ არ არის ეკონომიური დამოუკიდებლობა. ამიტომ დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტიდან განა შეუდგა ეკონომიური პროგრამის განხორციელებას, რომლის მიზანია ეკონომიკის რეორგანიზაცია. ამისათვის მიწათმოქმედების მექანიზაცია და მრეწველობის განვითარება უნდა ხორციელდებოდეს ეროვნულ საკუთრებათა შესაბამისი ტემპებით. გარდა არსებული კვების მრეწველობისა ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევია შეიქმნას ქაღალდის, სამეიერო, ცემენტის საწარმოები, აშენდეს ქიმიური მრეწველობა, განვითარდეს სამთო საქმე, დაიწყოს კამხალებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და სხვ. გათვალისწინებულია ოთხ ეტაპად ეროვნული ბანკის, ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკი, გამოსყიდულია უცხოელთა მთელი რიგი კომპანიების აქციები.

განის მსგავსად, გვინეის რესპუბლიკის ხალხმა უარყო კაპიტალისტური განვითარების გზა, როგორც მშრომელთა ექსპლოატაციის, სიღატაკისა და გაჩანაგების გზა. ამ ქვეყნის ხელმძღვანელი ძალაა გვინეის. დემოკრატიული პარტია, რომელსაც სათავეში უდგას სეკუ ტურე. გვინეის მთავრობა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გზას დაადგა და გეგმის მთავარ ამოცანებად დაისახა ეკონომიური დეკოლონიზაცია, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, გვინეის გადაქცევა განვითარებულ ქვეყნად, რომელსაც უნარი ექნება აქტიურად მონაწილეობდეს მთელი აფრიკის ამბავლობაში.

მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი მრეწველობაში ეროვნული სახელმწიფო სექტორის გასაძლიერებლად, მოახდინა ალმასისა და ოქროს მომპოვებელი მრეწველობის ნაციონალიზაცია. შექმნა ეროვნული ბანკი და ეროვნული ვალუტა. გამოიცა კანონი, რომელიც დაარეგულებს მსხვილი კერძო მიწათმფლობელობის წარმოშობას. სოფლის მეურნეობის ორგანიზაციულ გარდაქმნას საფუძვლად დაედო კოოპერირება.

ხორციელდება ღონისძიებანი ხალხის მასების კულტურის განვითარებისა და ზრდისათვის. გვინეაი, ისევე, როგორც განა და მალი, სარგებლობენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების უანგარო დახმარებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული დემოკრატიის საბელმწიფოს ეტაპის გავლით სოციალიზმის - სოციალიზმის მშენებლობაზე მშვიდობიანი გადასვლის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს კუბის რესპუბლიკა. კუბა ერთიანობაზე როდი დასდგომია განვითარების სოციალისტურ გზას. თავის გამოსვლაში 1961 წ. 1 დეკემბერს ფიდელ კასტრო ამბობდა, რომ პირველ ხანებში კუბის რევოლუციის ამოცანა იყო იმპერიალისტური სამხედრო ტირანიის დამხობა და ისეთი რეჟიმის დამყარება, რომელიც ერის ინტერესების საესებით შესაბამისი იქნებოდა.

„შემეძლო თუ არა ნამდვილი რევოლუციონერი მეწოდებინა ჩემი თავისათვის 1959 წლის პირველ იანვარს?“ — იკითხა კასტრომ და თვითონვე უპასუხა: „არა, არ შემეძლო“.

კუბელი ხალხი თანდათან რომ ეცნობა იმპერიალისტურ პოლიტიკას და იმპერიალიზმის სისხლიან ბრძოლებს დედამიწის ყველა ნაწილში — სამხრეთ ვიეტნამში, კონგოში, ალჟირში და სხვ. ჩვენ, — ამბობდა კასტრო, — მარქსისტები ვხდებით. შევიცნობთ სიმართლეს, რომელსაც მარქსის მოძღვრება შეიცავს“.

რევოლუციის ძალისა და უძლეველობის, ახალი ცხოვრების მშენებლობაში წარმატებების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად კუბელ რევოლუციონერებს მიაჩნიათ მთელი ხალხის, მთელი მისი რევოლუციური ძალების ერთიანობა.

ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოს ისტორიული ეტაპი, როგორც სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლისა, მაგალითია მასების რევოლუციური შემოქმედების მრავალსახეობის, რომლებიც გათავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან და ეძებენ განსხვავებულ მომავლისაკენ მიმავალ გზებს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან და პირველ რიგში საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან თანამეგობრობით.

დ. ზავრიევი,
პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ინგლისელი მხატვარი ვიკი ამ ნახატით ყოველკვირეულ „ნიუ სტეიტსმენში“ კომენტარს უკეთებს ჰეიტსკელისა და ლეიბორისტთა სხვა მემარჯვენე ლიდერების პოზიციას ატომური განიარაღებისათვის მოძრაობის მიმართ.

საშიშროების, შეშფოთების წყარო

პრეზიდენტ კენედის პრეს - კონფერენცია

ვაშინგტონი, 23 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ბ. სალომონიანი იუწყება:

დღეს აქ. გამოართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის მორიგი პრეს-კონფერენცია. რამდენიმე წუთის განმავლობაში ეს პრეს-კონფერენცია პირველად იყო რეტრანსლირებული ამერიკის კავშირგაბმულობის თანამგზავრის „ტელესტარის“ საშუალებით დასავლეთ ევროპის ტელემაყურებლებისათვის.

გახსნა რა პრეს-კონფერენცია, პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ ასეთი ახალი სახეობის კავშირი სხვადასხვა ნახევარსფეროს შორის მეტად დიდმნიშვნელოვანი პირობაა მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

პრეზიდენტს ბევრი კითხვა მისცეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს შეხვედრების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან დ. რასკთან ჟენევაში. კერძოდ, კორესპონდენტებმა სთხოვეს კენედის შეეფასებინა გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების ახლანდელი პერსპექტივები.

კენედიმ თავის პასუხში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღემდე ამ საკითხში არ ყოფილა მიღწეული, როგორც მან თქვა, რამე პროგრესი. მიუხედავად ამისა, კენედიმ თქვა, რომ სახელმწიფო მდივანი დ. რასკი უეჭველად განაგრძობს შეხვედრებს ა. ა. გრომიკოსთან და შეიძლება ერთხანს დარჩეს ჟენევაში, თუ ეს ხელს შეუწყობს სასარგებლო მიზნის მიღწევას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა უპასუხა, რომ ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებს არ უკავიათ ასეთი პოზიცია, მაგრამ ჩვენ, დასძინა მან, ვსწავლობთ ამ ცოტა ხნის წინათ მიღებულ ახალ მონაცემებს ატომური იარაღის მიწისქვეშა აფეთქებების აღმოჩენის ტექნიკურ შესაძლებლობათა შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიმდინარე კვირის ბოლოს გააკეთებს თავის დასკვნებს და არსებულ ინფორმაციას წარუდგენს განიარაღების კონფერენციას.

პრეზიდენტს მისცეს აგრეთვე მთელი რიგი კითხვები ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. უპასუხა რა ამ კითხვებზე, კენედიმ გამოთქვა სინანული, რომ შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლეს „შეექმნათ ეკონომიური ფორმულა, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენი ეკონომიკის ზრდას“. კენედიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატების ეკონომიური მდგომარეობა უმჯობესი იქნება შევაფასოთ მას შემდეგ, რაც მიიღებენ და დაამუშავებენ ივლისის სტატისტიკურ მონაცემებს, ერთადერთი კონკრეტული მაგალითი, რომელიც პრეზიდენტმა მოიყვანა, ეხებოდა მონოპოლიების მოგებებს. კენედიმ თქვა, რომ უკანასკნელი მონაცემების თანახმად, რომლებიც გასულ კვირაში გამოქვეყნდა, ამერიკის წამყვანმა სამრეწველო კომპანიებმა მიიღეს ყველაზე დიდი მოგება მთელი მათი ისტორიის განმავლობაში. ქერძოდ, კენედიმ განაცხადა, რომ „ჯენერალ მოტორსის“, „რადიოკორპერეიშნ ოფ ამერიკის“ მოგება 50-75 პროცენტით გადიდდა შარშანდელთან შედარებით. პრეზიდენტმა ასეთ მოვლენას უწოდა „შთამაგონებელი მაჩვენებელი“.

— საბჭოთა კავშირი, — ამბობს ა. გრომიკო, — მოითხოვს უსწრაფესად დაიდოს შეთანხმება, რომელიც გაითვალისწინებს სახელმწიფოთა მთელი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების სრულ ლიკვიდაციას, ომის წარმოების ყველა იარაღისა და საშუალების მთლიანად მოსპობას.

ის-ის იყო დაიწყო მიმდინარე წლის მარტში მოლაპარაკება 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში, და საბჭოთა მთავრობამ თებერვლის პირველსავე დღეს მაგიდაზე დადო პროექტი ხელშეკრულებისა მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაქვემდებარებულ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

მასობრივი მოსპობის იარაღის სრული აკრძალვა და უთუო ლიკვიდაცია ხელშეკრულების ამ პროექტის ნამდვილი სული და გულია. მის მთავარ დებულებებს გაგებით და მხარდაჭერით შეხვდა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის დელეგაციათა უმრავლესობა.

სამწუხაროდ, განაცხადა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, დასავლეთის სახელმწიფოები ჯერჯერობით არ იჩენენ სურვილს მიაღწიონ შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების პროექტის გამო, ისინი მუდამ ცდილობენ გვერდი აუარონ ამას. ჩვენ არაერთხელ განვიცხადეთ დასავლეთის სახელმწიფოებს, რომ არასოდეს არ დავთანხმდებით იმაზე, რომ არსი გამოაცალონ განიარაღების პროგრამას, მოაშორონ მას განიარაღების ნამდვილი ღონისძიებანი, შეიცალონ ისინი ჯაშუშობით ინსპექციის სახით. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, რომ არ დავთანხმდებით ხელშეკრულების პროექტის კონკრეტული საკითხების ურთიერთმისაღებ გადაწყვეტას, თუ ეს არ ეწინააღმდეგება განიარაღების ინტერესებს. უფრო მტკიცე, ჩვენ თვითონ, როგორც ეს თქვენ კარგად იცით, ვიჩენთ ინიციატივას ასეთი ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების პოვნაში ყოველივე იმ

გუშინ სკუდენჯთა ასპარეზობაზე

მცურავთა წარმატება

გუშინ ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში გრძელდებოდა სტუდენტ მცურავთა შეჯიბრება. 400 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში ქალთა შორის უძლიერესი იყო ვ. სიტნიკოვა (რსფსრ ნაკრები). მისი მაჩვენებელია 5 წუთი და 48,6 წამი. ვაჟთა შორის ამ დისტანციაზე თამაშების ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ვ. ეფრემოვი (მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი). მისი დრო—4 წუთი და 45,3 წამი სტუდენტთა თამაშების ახალი რეკორდია.

თურქმენეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ბ. ხრამოვმა 100 მ. ბატერფლაის სტილით ცურვაში თამაშების ახალი რეკორდი (1 წუთი და 04,7 წამი) დამყარა, შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა და ჩემპიონი გახდა.

200 მ. ზურგზე ცურვაში (ვაჟები) გაიმარჯვა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენელმა ვ. ტარასოვმა. მან აჩვენა დრო 2 წუთი და 24,7 წამი, რაც თამაშების ახალი რეკორდია.

კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 (ქალები) გაიმარჯვება ხვდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს (დრო — 5 წუთი და 35,8 წამი).

გაიმართა აგრეთვე ფინალური შეჯიბრება კოშკიდან ხტომაში ქალთა შორის. ამ უძლიერესი აღმოჩნდა ლენინგრადელი („ბურევესტნიკი") რ. გოროხოვსკაია. თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ტ. ავჩინკოვა მეექვსე ადგილზეა.

გრაციას და სილამაზე

მხატვრული ტანვარჯიში არა მარტო გრაციის; სხეულის სილამაზის, წრთობის სკოლაა, არამედ მასში რჩება პოეტური სული სუნთქავს. აქ ხომ მუზიკის გარშემო წარმოუდგენელია მოძრაობა. აქ ყველაფერი მუსიკას ემორჩილება.

მხატვრულ ტანვარჯიშში ორმოცამდე გუნდი მონაწილეობს. ესენი არიან რესპუბლიკის მაკრები გუნდები, ტექნიკური და ჰუმანიტარული სასწავლებლებისა და ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივები. მონაწილეობა რიცხვი სამაჯამდეა. სავალდებულო პროგრამის მიხედვით გუშინ ბრძოლაში ჩაბნენ ლენინგრადის, აზერბაიჯანის, თბილისის, სმოლენსკის, უკრაინის გუნდები. დღეს დამთავრდება სავალდებულო პროგრამით გათვალისწინებული ვარჯიშები. ყველაზე საინტერესო დასკვნითი დღეები იქნება, როდესაც „გუნდური ვარჯიშები იწარმოებს საგნებით. ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ სავალდებულო პროგრამის მიხედვით პირად ჩათვლაში ლიდერობენ ბირიუკი (უკრაინა) — 38,4 ქულა და ბელოვი (ლენინგრადი) — 37,45 ქულა. ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდებს შორის პირველი დღის შემდეგ ლიდერები კიეველები არიან — 192,94 ქულა, ნაკრებ კოლექტივებს შორის ლენინგრადის გუნდი — 203,5 ქულა. ლიდერი ტექნიკური და ჰუმანიტარული სასწავლებლების გუნდებს შორის დღეს გამოვლინდება.

ნ. ეჩესა,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



სურათებზე: სტუდენტთა III თამაშების ჩემპიონები ცურვაში (მარცხნიდან) — ა. კოვალენკო (უკრაინა), ა. გოლოვჩენკო (მოსკოვი), ვ. ეფრემოვი (მოსკოვი) და ა. ხრამოვი (თურქმენეთი).

რეკორდები ფიცარნაგზე

სპორტსასოგადოება „დინამოს" დარბაზში დაიწყო ძალოსანთა ასპარეზობა. აქ მონაწილეობენ რესპუბლიკების ნაკრები კოლექტივები, ტექნიკური და ჰუმანიტარული უმაღლესი სასწავლებლების ნაკრები გუნდები და ფიზკულტურის ინსტიტუტების წარმომადგენლები. პირადი ჩათვლა საერთოა ყველასათვის. შეჯიბრების პირველ დღის „გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები. უმჩატეს წონაში პირველი ადგილი და სტუდენტთა მესამე თამაშების ჩემპიონობა მოიპოვა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. ოფიონმა, რომელმაც კლასიკურ სამჯიდში აჩვენა შედეგი 267,5 კგ. მეორე ადგილზე გამოვიდა **გ. კოშენეცი** (ომსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი). მისი შედეგია 250 კილოგრამი. ამ წონიერის კატეგორიაში საზოგადოება „ბურევესტნიკის" ახალი რეკორდი დაამყარა **დ. სელივერსტოვმა.** მან აწია 85 კილოგრამიანი შტანგა, რაც 5 კილოგრამით აღემატება ძველ რეკორდს. საქართველოს ნაკრების წარმომადგენელმა მ. ციცუა ამჯიდმა მეოთხე ადგილი დიაკავა.

მჩატე წონაში უძლიერესი იყო ლვოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი **ა. პოპაზოვი.** მისი შედეგია 305 კგ. მეორე ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის ტრანსპორტის ინსტიტუტის წარმომადგენელი **ვ. კურანოვი** — 297,5 კგ. **ა. პოპაზოვმა** აკვრაში (97 კგ.) საზოგადოება „ბურევესტნიკის" ახალი რეკორდი დაამყარა.

ფალავანთა შერკინება

სტუდენტთა საკავშირო თამაშებში ჩაებნენ თავისუფალი სტილით მოჭიდაკეები. ლენინის სახელობის სპორტდარბაზის ხალჩიჩზე მიმდინარეობს საინტერესო და დაძაბული ბრძოლები. ასპარეზობაში მონაწილეობს ტექნიკური და ჰუმანიტარული სასწავლებლების 20 და ფიზკულტურის ინსტიტუტების 10 გუნდი. გუშინ დაიწყო პირველი შეხვედრები. ჩატარდა პირველი წრე. თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა პირველი გამარჯვებები მოიპოვეს. გობეჯიშვილმა 3 წუთში ბეკეზე გააკრა ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტის სტუდენტი ჰაკურანოვი. ქავთარაძემ 1 წუთსა და 45 წამში წმიდად მოუგო ნოვოჩერკასკის პედინსტიტუტის სტუდენტს ოვერენკოს. ტერაძემ დაამარცხა პირში (ლატვიის სასოფლო-სამეურნეო აკადემია), დავლიანიძემ — გუცუ (კიშინიოვის უნივერსიტეტი). პირველთანრიგოსანმა ანთიძემ დაამარცხა სპორტის ოსტატი მარგიევი (ყაბარდო-თის უნივერსიტეტი). დღეს გაიმართება მეორე წრის შეხვედრები. დებულების თანახმად 8 სპორტსმენს მიღების შემდეგ მოუვიდა ასპარეზობას.

კარგი შედეგები

არა მარტო ასეთ ასპარეზობაში, არამედ საერთოდ მძლეოსნობა ნომერ პირველ სპორტად არის აღიარებული. ამიტომ გასაკვირი რიდია, რომ სტუდენტთა თამაშებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სპორტის სწორედ ეს სახეობა.

ჩვენს დედაქალაქს 900-მდე მძლეოსანი ეწვია. მთელ რიგ სახეობებში უკვე ჩავატარეთ შეხვედრები და უნდა ითქვას, რომ შედეგები ცუდი როდია. ცხადია, მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ამინდი ხელს გვიშლიდეს. ასეთ სიცხეში, როდესაც ადამიანს სუნთქვაც კი უჭირს, მეტად ძნელია სპორტული ბრძოლა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ „ბურევესტნიკის" საუკეთესო წარმომადგენლები — ბრუტელი, შნელკახოვა, ფედოსეევი, ოზოლინი და სხვ. (სულ 17 კაცი) სსრ კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა მატჩის გამო ჩვენს შეჯიბრებაში ვერ გამოდიან.

მიუხედავად ამისა უკვე დამყარებულია სტუდენტთა თამაშების 4 ახალი რეკორდი—ბადროს ტყორცნაში ქალთათვის, 5.000 მეტრზე რბენაში, 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში და ამანათრბენში ვაჟთათვის 4×100 მეტრზე.

კარგად მომზადებული მძლეოსნები გამოჰყავს ტარტუს უნივერსიტეტს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მძლეოსნებს მე-7-მე-8 ადგილი უკავიათ, ხოლო საქართველოს „ბურევესტნიკის" გუნდს — მე-7 ადგილი. ვფიქრობ, რომ ამ კოლექტივებისათვის ეს ადგილები საბოლოო არ იქნება.

სტუდენტთა თამაშების საზეიმო გახსნის დღეს, 25 ივლისს გათამაშდა რამდენიმე ფინალი. ამანათრბენში ვაჟთათვის 4×100 მეტრზე ახალი რეკორდით (41,4 წამი) პირველი ადგილი დიაკავა უკრაინის ნაკრებმა. ამავე სახეობაში ქალთა შორის პირველი იყო ლენინგრადის უნივერსიტეტის გუნდი — დრო — 48,3 წამი. თარჯრბენში 110 მეტრზე გაიმარჯვა ა. სტეპანენკომ (ლვოვის ფიზკულტურის ინსტიტუტი, 14,7 წამი). გ. ლეჟავამ (თბილისის უნივერსიტეტი) მესამე ადგილი დიაკავა.

ლ. გიორგაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

რინგის კვადრატებზე

სტუდენტ მოკრივეთა ასპარეზობაში სტარტი აიღო ფიზკულტურის ინსტიტუტების 11-მა და ჰუმანიტარული და ტექნიკური ინსტიტუტების 17-მა კოლექტივმა.

წინასწარი შეხვედრების შემდეგ გამოვლინდა ფიზკულტურის ინსტიტუტების მოკრივეთა მეოთხედფინალისა და ჰუმანიტარული და ტექნიკური სასწავლებლების სპორტსმენთა მერვედფინალის მონაწილენი. მათი შეხვედრები წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმართა გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში.

შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიან საქართველოს მოკრივეები ო. ზებულაშვილი (პირველი ქვესაშუალო წონა), რ. ერისთავი, თ. კუპავა (ორივე მეორე საშუალო წონა) და სხვ.

ასპარეზობა გრძელდება.

ფრე ერევანში

გუშინ ერევანში გაიმართა რესპუბლიკათა „ბ" კლასის გუნდების მორიგი ასპარეზობა ფეხბურთში. თამაშობდნენ თბილისის „ლოკომოტივისა" და ერევნის „ნაირის" გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2.

გუნდები და მაჩვენებლები

კომპლექსური ჩათვლა „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური სპორტლოტოს მიხედვით 25 ივლისისათვის (კლასიკური ჭიდაობა, ჩოგბურთი, ტრეკი).

საქართველო	30 ქულა
უკრაინა	27 ქულა
მოსკოვი	24 ქულა
რსფსრ	23 ქულა
ბელორუსია	15 ქულა
აზერბაიჯანი	13 ქულა
უზბეკეთი	7 ქულა
ყაზახეთი	7 ქულა
სომხეთი	6 ქულა

კომპლექსური ჩათვლა ფიზკულტურის ინსტიტუტების მიხედვით 25 ივლისისათვის (კლასიკური ჭიდაობა, ჩოგბურთი, ტრეკი).

მოსკოვი	46 ქულა
კიევი	40 ქულა
ყაზახეთი	38 ქულა
უზბეკეთი	31 ქულა
ლვოვი	30 ქულა
ომსკი	29 ქულა
საქართველო	27 ქულა
ბელორუსია	17,5 ქულა
ლატვია	14 ქულა
სომხეთი	10 ქულა
აზერბაიჯანი	7 ქულა

კომპლექსური ჩათვლა უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით 25 ივლისისათვის (კლასიკური ჭიდაობა, ჩოგბურთი, ტრეკი).

საქართველოს პ. ტ. ინსტ.	38 ქულა
კიევის პ. ტ. ინსტიტ.	27 ქულა
მვტუ	26 ქულა
მეი	23 ქულა
ლვოვის პ. ტ. ინსტ.	22 ქულა
ტარტუს უნივერ.	17 ქულა
ტომსკის პ. ტ. ინსტ.	17 ქულა
ლენინგრადის უნივერ.	17 ქულა
მინსკის პ. ტ. ინსტ.	16 ქულა
მოსკოვის უნივერ.	15 ქულა
ირკუტსკის სახ. სამ. ინსტ.	15 ქულა

წარმატება მათი სვეტრია

ლენინგრადი — გამოჩენილი სახელოვნების მოღვაწეების, სსრ კავშირის სახალხო artistebi, ლენინგრადელ ფეხბურთელ ჭაბუკიანის შემოქმედებითი სამშობლო. აქ, ა. ი. ვაგანოვას სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში იგი სწავლობდა, ჩაბარა გამოსაშვები გამოცდები.

და აი, არტისტი კვლავ ლენინგრადშია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრთან ერთად. ეს კოლექტივი ლენინგრადში ლენინის ხაბეჭის სახელობის კულტურის სასახლის სცენაზე დიდი წარმატებით გამოდის.

— მე ძალიან მაღელვებს შეხვედრა ლენინგრადელებთან, მეგობრებთან, კოლეგებთან ხელოვნებაში, — ამბობს ვ. ჭაბუკიანი. — ჩემი აქ არ ყოფნის დროს ქალაქის გარეგნულ სახეს ახალი ნიშანი შეემატა, რაც, ჩემთვის, სამხრეთელისათვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა. გაშლილი ვარდები და იორდასალმები ამშვენებენ სკვერებს, როგორც სამხრეთში, ბევრი ქუჩის გაყოლებით ტროტუარებზე დადგმულია ლარნაკები ფიერადოვანი ყვავილებით.

ყვავილები მსახიობებს თანსდევენ თბილისიდან. როცა ვ. ჭაბუკიანი ცეკვავს, მაყურებლები სცენას ყვავილებით ავსებენ. ლენინგრადი გულთბილად ილებს თეატრის სხვა სოლისტებსაც. ფერადოვანი და გამომსახველი იყო „ჯამბაზები" და „სოფლის პატიოსნება", რომლებშიც სოლისტებმა, გუნდმა და ორკესტრმა შესანიშნავი ანსამბლი შეადგინეს. დიდი წარმატება ჰქონდა ქართული კლასიკის მარგალიტს — ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისს".

ნაკლები წარმატება როდი ხვდა დ. თორაძის რეპერას „ჩრდილოეთის პატარძალს", რომელიც მსმენელს მოუთხრობს ა. გრიბოედოვის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდზე, რუსი და ქართველი ხალხების სულიერ ნათესაობაზე. წარმატება ჰქონდა შ. მშველიძის „დიდოსტატის მარკვენას", რომელშიც ასახულია მცხეთის ტაძრის მშენებლის ტრაგიკული ბედი.

ე. კალინინა.
(საკდესის კორ.)

სპორტული ქრონიკა

მატჩი რიგაში

გუშინ რიგაში შედგა მატჩი კალათბურთში „ა" კლასის ვაჟთა გუნდებისათვის. ჩემპიონატის ლიდერის — რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის „დინამო". უკანასკნელ წუთში რიგელებმა ძლივს მეტოქეს და გაიმარჯვეს 76:71. რიგის სკა განაგრძობს ლიდერობას. მას 17 თამაშიდან 16 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ცსკა. ჩემპიონობის საკითხი ბევრად არის დამოკიდებული ქვირის მატჩზე რიგის სკა-სა და ცსკა-ს შორის.

ე. ვასიუკოვის გამარჯვება

ბერლინში დამთავრდა ე. ლასკერის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა საბჭოთა გროსმეისტერი ე. ვასიუკოვი. მან პირველი ადგილი დიაკავა.

თანმიმაქვს თქვენი სიყვარული

რამდენიმე დღე იყო სტუმრად საქართველოში ცნობილი იტალიელი მწერალი, ევროპის მწერალთა გაერთიანების გენერალური მდივანი ჯანკარლო ვიგორელი.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ჯ. ვიგორელიმ ინახულა ქართველი მეგობრები და გულითადი საუბარი ჰქონდა მათთან. მწერალმა დაათვალიერა საქართველოს სამხედრო გზა ფასანაურამდე, ნახა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში და საქართველოს ისტორიული დედაქალაქი მცხეთა. ესტუმრა აგრეთვე ხელოვნების მუზეუმს.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა იტალიელ მწერალზე ნიკო ფიროსმანიშვილის მხატვრობამ. მან აღფრთოვანებული ქართველი ხელოვნების მოღვაწეებს, რომ ყოველ ღონეს იხმარს ფიროსმანიშვილის სურათების გასაცანად სახვითი ხელოვნების ნიმუშების მსოფლიო გამოფენაზე, რომელიც 1968 წლის გაზაფხულზე მოეწყობა რომში.

გულთბილად, მეგობრულ ვითარებაში შეხვდნენ ქართველი კოლეგები იტალიელ სტუმარს მწერალთა სახლში. ვიგორელისთან შეხვედრა გახსნა პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. შემდეგ გამოვიდა სტუმარი და ილაპარაკა იტალიის ახლანდელ ლიტერატურაზე, მისი განვითარების გზებზე.

— რასაც ვნატრობდი, ამიხდა, — თქვა ჯანკარლო ვიგორელიმ, — საქართველოს და მის დიდ კულტურას იტალიური და სხვა უცხოური წყაროებით ვიცნობდი. ახლა თვითონ ვნახე თქვენი მშვენიერი ქვეყანა. მაგრამ ყველაფერი როდი მოვასწარი ამ ორ-სამ დღეში. რაც ვნახე, არასოდეს არ დამავიწყდება, მოვალ და თან მიმყავს სტუმრის დიდი პატივისმცემელი ქართველი ხალხის სიყვარული.

უქმად არ ჩაივლის ჩემი ჩამოსვლა თქვენს ქვეყანაში, — დაამთავრა მან, — ვამზადებდ ქართული პოეზიისა და პროზის ანთოლოგიას იტალიურ ენაზე. ეს მუშაობა რამდენიმე წელს გასტანს. კიდევ მომიხდება ვნახო თქვენი სამშობლო. ნახვამდის, ჩემო ძვირფასებო!

ქართველი მწერლების თანხლებით იტალიელმა სტუმარმა ინახულა აგრეთვე საქართველოს სახალხო ჩხატარი ლადო გუდიაშვილი, დათვალიერა მის სახელოსნოში გამოფენილი ნამუშევრები და თავისი შთაბეჭდილებანი ჩაწერა საპატიო სტუმართა წიგნში.

• • •

სურათზე: ჯანკარლო ვიგორელი.

მამაცი მონადირე

ონი. (საკ. კორ.). მაღალმთიან სოფელ ღებში ყველა იცნობს სახელგანთქმულ მონადირეს მურთა ლობჟანიძეს. მას არა ერთი დათვი მოუკლავს.

ამას წინათ სოფლის ნახირს, რომელიც ალპურ საძოვრებზე იმყოფება, დათვი შეეჩვია. მწყემსებმა ეს მ. ლობჟანიძეს შეატყობინეს. მამაცი მონადირე მხეცებზე სანადოროდ გაეშურა. მან კარგად შეისწავლა გზები, რომლებითაც ძუ დათვი და მისი ბელები ნადავლისათვის გამოდიოდნენ. ერთ საღამოს მონადირემ უშიშრად გადაღობა გზა მხეცებს და მარკვეულ სროლით ძუ დათვი და სამი ბელი სიცოცხლეს გამოასალმა.

პირველი დამსვენებლები

ლენტეხი. (საკ. კორ.). სვანეთის მაღალმთიან კურორტ მუაშში დაიწყო საკურორტო სეზონი. დასასვენებელმა სახლმა უკვე მიიღო დამსვენებელთა პირველი დიდი ჯგუფი.

წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ამ კურორტის კეთილმოსაწყობად. ახალი სეზონისათვის განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები — კლუბი, კინოთეატრი და ბიბლიოთეკა. დამსვენებლებს კარგ მომსახურებას უწევენ აგრეთვე სავაჭრო პუნქტი, სასურსათო მაღაზიები და ფოსტა-ტელეგრაფი.

რედაქტორი დ. მჰედლიშვილი.

ეგობრის ეოგონება

ე. ჰემინგუეის სიცოცხლის უკანასკნელი დღეები

ერნესტ ჰემინგუეის სიკვდილის წლისთავთან დაკავშირებით კუბის ჟურნალმა „ბოემამ" დაბეჭდა თავისი კორესპონდენტის ვისენტე კუბილიასის სტატია. ჯონ სენტე კუბილიასმა ჰავანის გარეუბანში ინახულა მწერლის სახლი — ამჟამად „ჰემინგუეის მუზეუმი" და შეხვდა ჰემინგუეის მეგობარს — რობერტო ერერას, რომელიც ახლა შესანიშნავი მწერლის მუზეუმის მცველი გახდა.

...ჰემინგუეის მეგობრები მას ალერსით „პაპას" ეძახდნენ.

ვისენტე კუბილიასი

— აბა, იმ თოფს კი არ მოუსპია დიდი მწერლის სიცოცხლე, რომელიც ჰემინგუეიმ თვითონ გაიროტყა. ამაზე ბევრად ადრე უვიცმა მკურნალმა მკვლელად აქცია ფეხზე მდგომი „პაპა" ჰემინგუეი, ელექტროშოკის პროცედურა რომ დაუნიშნა.

რობერტო ერერა დინჯად ლაპარაკობს, თვითეულ სიტყვას წონის. მას შეგნებული აქვს, თუ როგორები ამაფეთქებელი ძალა თანამოსაუბრისათვის „პაპა, რასაც იგი ამბობს. ერნესტ ჰემინგუეის ყველაზე მახლობელი კუბელი მეგობარი განაგრძობს:

— ჩემმა ძმამ ჰოსე ლეონსმა, რომელთანაც კუბაზე მკურნალობდა ჰემინგუეი, მწერალს სასტიკი დიეტა დაუნიშნა. ეს იყო ჰემინგუეის ესპანეთში გამგზავრების წინ, სადაც იგი აპირებდა პირადად მიეღო მონაწილეობა რომანის „სოკვდილი ნაშუადღევს" ახალი გამოცემის მომზადებაში. მეტად გვიან გავიგე ის, რაც მობდა: „პაპამ" დაიგიწყა ექიმის დარიგება. — ჭამდა და სვამდა ყველაფერს, რითაც უმასპინძლდებოდნენ. თავის მეგობარ ტორეადორებთან ერთად ესპანეთში იმოგზაურა და... ეს მაშინაც დაეტყო მას ჯანმრთელობას.

ერერა დიდი მღელვარებით ლაპარაკობს „პაპა" ჰემინგუეის შესახებ. ისინი დაკავშირებული იყვნენ ოცი წლის განმავლობაში, როგორც ორი ძმა, და იქნებ უფრო ძლიერადაც, ვიდრე ზოგიერთი ძმები. მასზე უკეთ არავინ არ იცნობდა დიდი მწერლის ცხოვრების ინტიმურ მოთხოვნილებებს.

—„პაპას", ჩემთან საიდუმლო არა ჰქონია. ჩვენი მეგობრობის მრავალი წელი უკან დარჩა, სანამ ნამდვილად გავიცნობდი ჰემინგუეის, „გავმიფრავდი" მას, მიეხვედებოდი, თუ რა ძალა ჰქონდა მისი გენიის აგზნებას.

სანფრანსისკო-დე-პაულას დიდი ქვიტქირის სახლის სალონში ოდნავი ნესტი იგრძნობა. საათაც გაიხდა. ყველგან ერნესტ ჰემინგუეის, ნობელის პრემიის ლაურეატის ნიკოლია. მას მხურვალედ უყვარდა თავისი მეორე სამშობლო — კუბა. აქ შან მსოფლიოს აჩუქა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოები — „მოხუცი და ზღვა".

— მართალია, იმ დროისათვის ცხოვრებამ მას ორჯერ მიაყენა მძიმე ჭრილობა, — განაგრძობს ერერა, თან თითებს ათამაშებს იმ საწერი მანქანის კლავიშებზე, რომელზეც „პაპა" წერდა თავის ნაწარმოებებს — „ვისზე რეკავს ზარი", „გალმა ხეთა ჩრდილში" და „მოხუცი და ზღვა". აქ, ამ საწოლ ოთახში, ფეხშიშველა, ფეხზე მდგომი მრავალი საათის განმავლობაში ბეჭდავდა იგი თავის გენიალურ ნაწარმოებებს. სწორედ ფეხშიშველას და ფეხზე მდგომს უყვარდა მუშაობა.

— იმ დროს, იმეორებს ერერა, — „პაპა" ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. ეს მოხდა მალე მას შემდეგ, რაც იგი სან-ვინეტში შეხვდა ჰარი კუბერს. არ მახსოვს — 1960 წლის ბოლოს თუ 1961 წლის დამლეგს. ის და ჰარი დიდი მეგობრები იყვნენ. ეს მსახიობი, როგორც ოქიმ, მთავარ როლს ასრულებდა რომანის „ვისზე რეკავს ზარი"-ნიხედვით შექმნილ ფილმში, სადაც კუპერმა ბრწყინვალედ წარმოგვიდგინა რობერტო ჯორდანას სახე. ჰემინგუეიმ რობერტო თავისი თავიდან გადაიღო — ძალიან ხშირად შრომობდა ასე. იმ დროს ჰარი უკვე სასაკვდილოდ იყო დაავადებული — კიბო ულმობლად ხრავდა. იგი მაშინ ლაპარაკობდა ბევრ რამეზე, სიცოცხლესა და სიკვდილზე. ისინი ადამიანებს, როგორიც ისინი იყვნენ, ჩვეულებრივად სიკვდილსა არ ეშინიათ. და დასცინოდნენ სიკვდილს. „მე შენზე ადრე მოკვდები, — უთხრა ჰარიმ ჰემინგუეის. — ეს დანამდვილებით ვიცი. ასე რომ დაგელოდები იქ, ზეკით". და მართლაც, კუპერი ძალიან მალე მოკვდა. ძალიან. იმოქმედა ჰემინგუეიზე მისმა სიკვდილმა, ისევე როგორც მოხუცი მონტანელი მონადირის ტელეფონის სიკვდილმა. ტელეფონთან ერთად მწერალს არაერთხელ უმოგზაურია აფრიკაში. მის ამ ორ მეგობარში მისი საკუთარი არსებობის აზრიც იყო...

კვამლის სქელი ბოლქვები წამით მთლად უფარავს სახეს რობერტო ერერას, რომელმაც ლიგარეტს მოუკიდა. თოჯანის ჰემინგუეისადმი დახურულ საწოლ ოთახში სუნთქვა შეუძლებელი ხდება, გადაწყვეტილი აივანზე გავიდეთ. ეს სქელი ღრუბლებით იფარება და მსუბუქი ბრიზი მოწმენს, რომ წვიმა მოვა.

— მას შემდეგ ჰემინგუეი დარღვეულად იყო, — განაგრძობს თხრობას ერერა.— ზედმეტობამ, რაც მან ესპანეთში ყოფნის დროს დაუშვა, სერიოზული გავლენა მოახდინა მწერლის შერყეულ ჯანმრთელობაზე. როცა იგი როჩესტერში (ნიუ-იორკის შტატი) „მაიოს კლინიკაში დაწვა, ექიმებმა დაადგინეს დიაგნოზი: სპეტიტი (ღვიძლის ანთება), დიაბეტი და ჰიპერტონია. ექიმების მოითხოვნინ მეტისმეტად სასტიკი იყო. მედიცინის დას კოგზით უნდა ეძლია საჭმელი! არავითარი ძალღონის დახარჯვა! არავითარი მოძრაობა!

რობერტო ერერას თვალებში რაღაცამ ვაიცოცოცა. არა, შეუძლებელია, რომ ეს ცრემლი იყოს! მის სიტყვებში კი კვლავ ესოდენი სითბოა...

— ეს „პაპასთვის" ზურგში დანის ჩაცემა იყო. მგზნებარე ენერგიის პატრონს ომომძრაოდ ჯდომა არ შეეძლო. ის კი უეცრად ლოგინს მიკრული აღმოჩნდა. გარშემო ეხვევნენ ექიმები და მედიცინის დები, ადამიანები, რომლებიც ჰემინგუეის სიბრალულით უფრო უფერულნენ. სიბრალულით უფერულნენ ადამიანს, რომელიც ყველაფერს გაკაიტანდა, ოღონდ სიბრალულით კი არ შეგეხებოდათ.. ახლა წარმოიდგინეთ, როგორ უნდა ეგრძნო თავი. მე მგონია, საშინელ გუნებაზე იქნებოდა.

უზარმაზარი სეიბას ხე, რომლის მძლავრ ფესვებს ბალის ბილიკის ასფალტი აუყრია, თავის ჩრდილში გვფარავდა. მზე თავის გზას განაგრძობდა, და მის სხივები, რომლებიც ძლივს ატანდნენ მძიმე ღრუბლებში, ამ ჩრდილის გარეშეეფასაც ლამობდნენ.

— ყოველივე ამასთან ერთად გამოჩნდა ექიმი, რომელმაც ჰემინგუეის ელექტროშოკის პროცედურა დაუნიშნა. რა მოხდა ამის შემდეგ? „მაიოს" კლინიკამ საავადმყოფოდან ჭერნესტ ჰემინგუეის მხოლოდ სხეული გამოსწერა. მისი გენია, გენია, რომელმაც ჰემინგუეი უკვდავი გახადა მსოფლიო ლიტერატურაში, დარჩა იმ საშინელ ელექტროაპარატში, იმ ავბედითი ელექტროდების ნაწილაკებში, რომლებიც მას საფეთქლებზე უშერდნენ და მძლავრ ხელებს უბოჭავდნენ.

რობერტო... მასზე უფრო ვის შეეძლო ეგრძნო და გაეგო ეს? მასზე უფრო ახლოს ხომ არავინ არ იცნობდა ჰემინგუეის.

— იქ, საავადმყოფოში, ბოლო მოეღო ჰემინგუეის პიროვნებას. კლინიკიდან მწერალი სხვა ადამიანი გამოვიდა. იქ „პაპას" დაუკარგეს მისი განსაცვიფრებელი, თითქმის ფოტოგრაფიული მეხსიერება, რომელიც საშუალებას აძლევდა, არსად და არაფერს რომ არ იწერდა, გაეხსენებინა თავისი ცხოვრების თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ამბები, შეუკოდმლად დაესახელებინა ყველა, ვისაც ძეგვედრია, გადმოეცა ყველას მიერ დიდი ხნის დავიწყებული საუბრების შინაარსი. მას ახსოვდა 1921 წლის ბეისბოლის სეზონის საუკეთესო შეხვედრათა ანგარიშიც, ესპანეთში მეომარი ინტერნაციონალური ბრიგადის ბრძოლთა სახელები, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჰემინგუეი, მუდამ დაუღალავად მომუშავე მწერალი, საშინელი ტრაგედიის წინაშე აღმოჩნდა: მან იგრძნო, რომ აღარ შეეძლო თავისი აზრების კოორდინირება, რომ აღარ შეეძლო შრომა. ნერვულ შეტევამდე, რაც „მაიოს" კლინიკაში დაემართა, და ელექტროშოკის პროცედურამდე, იგი რეგულარულად მწერდა წერილებს. შემდეგ გამოირკვა, რომ თურმე მას მაგიერ წერილებს მწერდა ჰემინგუეის ცოლი მერი, რომელიც მიამბობდა მის და თავის შესახებ.

ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება. ეს ერერას ხმითაც იგრძნობა.

— „ეი ამბავმა ვბედავ ვამტკიცო: ჰემინგუეიმ საგარეუბნო სახლს კიტჩმში შეაფარა თავი, რომ საავადმყოფოდან გამოწერილი სულიერად ჯერ კიდევ განადგურებული იყო. იქ, მარტობაში, მხნეობადაკარგულმა, ისეთი სამყაროთი გარემოცულმა, რომელიც ვეღარ ასაზრდოებდა მის ნიჭს, „პაპამ" გადაწყვიტა თავი დაეღწია საშინელი რკალისაგან...

ერერას, რომელიც ყრუა, შესაძლოა არც კი ეყურება თავისი სიტყვები. მაგრამ როგორ გრძნობს მათ! ახლა უკვე სავსებით ცხადია: მისი თვალები ვეღარ მოგვატყუებს. ცრემლები ღაღატით ჩამოსდის.

— ვერ მომიშორებია ეს აზრი, — ამბობს ერერა და შორს ისვრის სიგარეტის ნაბოლს. — ვერ გავბედე მეთქვა ეს მერისათვის, აქ რომ ჩამოვიდა. მერიმ წესრიგში მოიყვანა სახლი და გამოიცხადა, რომ „პაპას" ნებას ასრულებს და კუბელ ხალხს უძღვნის ამ სახლსაც და ყოველივე იმასაც, რაც აქ ერნესტ ჰემინგუეის უკანასკნელ ოც წელიწადში შეუერია.

* * *

1961 წლის 2 ივლისს თავის საგარეუბნო სახლში კეტჩმის ახლოს (აიდაჰოს შტატი, ამერიკის შეერთებული შტატები) ერნესტ ჰემინგუეიმ თავი მოიკლა. დიდმა მწერალმა, მთელი ლიტერატურული სტილის შემქმნელმა, ვერ სძლია მძიმე სინამდვილეს, რომელმაც დაუბნო მას გზა იმისაკენ, რაც მისთვის არსებობის აზრს წარმოადგენდა.

კუბის რესპუბლიკის კულტურის ეროვნული საბჭო, პრემიერ-მინისტრ მაიორ ფიდელ კასტროს მითითების თანახმად, ამ ახლა მდუმარე სახლს სან-ფრანსისკო-დე-პაულაში „ჰემინგუეის მუზეუმად" გადააქცევს. ფიდელ კასტრო ყოველთვის ეორეულებრივ ეპყრობოდა ჩრდილოამერიკელ მწერალს, რომელმაც კუბა თავის მედმივ ადგილსამყოფ[illegible]ად აირჩია, შეუყვარდა კუბელი ხალხი და შემდეგ აშკარა სიმპათიები გამოიჩინა კუბის რევოლუციისადმი. ამ მუზეუმში კუბელებიც და კუბაში ჩამოსული უცხოელებიც გაიცნობიან დიდი მწერლის მიერ დატოვებულ რელიკვიებს.

რობერტო ერერა, რომელიც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ჰემინგუეის ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო, გახდება იმ სულიერი